

სპორტული ჟურნალი

№6 (16)

ივლისი, 2001

ფასი 1 ლარი



სპორტიელი



სოსო კობორეიშვილი

3 ორთავობიდან
უთავობაჲდა

კობა ინესარიძე

4 დიდგული
ქია ივგვანი

სოსო კობორეიშვილი

8 ვიბალილი
მწვრთნელის
ჭაშნიკი

ირაკლი გამყრელიძე

9 ლიპერულის
დაბრუნება

პაპუნა კეღია

16 ერთი სურათი
ანუ ვაიზოდი
ლიპერულის
მწვრთნელი

პაატა კვანთალიანი

18 კლირთა
ხელნაწი

ვანო მძროპირიძე

21 აუზი: დავივიწყოთ
ყველაფერი მოვივოთ
ჩაქვირთა ლიბა

დავით გულუა

24 სხვადასხვა

14-15 გვერდი. ლივერპული (ინგლისი)
REUTERS

I გიორგი ნემსაძე (ბადრი კეთი-
ლაძე)

II ჯოვანი ტრაპატონი (გურამ დო-
ლენჯაშვილი)

III მარტინა პინგისმა როლან გა-
როსზე ფინალს ვერ უნია, უიმ-
ბლდონს კი პირველი წრიდან და-
ემშვიდობა REUTERS

IV 2000-01 წლების ჩემპიონთა ლი-
გის გამარჯვებული მიუნხენის
„ბაიერნი“ REUTERS



რთულია მწვრთნელის საქმე. თუნდაც იტალიის ნაკრების
თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი იყო და საქართველოს ეთაგ-
შებოდა, მაინც მოგიწევს გულისხმეთვა და, ახლა, წარმოიდ-
გინეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი
რომ ხარ და იტალიას ეთაგაშები...
დღეს, საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი
თან ჰყავს და თან არ ჰყავს.
იმედი მაღე ვყოლება, ოღონდ კარგი!

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი

რედაქტორის მოადგილე
სოსო კობორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
დავით ნადირაშვილი

ოპერატორი ლია ბჟსელია

მრჩემელთა საბჭო:

ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ

გულისაშვილი, ავთანდილ

გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,

ზურაბ მექველია, ზურაბ ფოცხვერია

გვამი სარგებლის დამატება

რეკლამა ჟურნალ «სარგებელი» – 93 16 08

მრთავობიდან შთავობამდე

სოსო კობორაიშვილი

უჩვეულოდ
დასრულდა დავით
ყიფიანისა და რევაზ
ძოძუაშვილის
ცხრამეტევიანი
საქმიანობა
საქართველოს
ნაკრებში.
თავის დროზეც
უჩვეულოდ გვეჩვენა
საქართველოს
ფეხბურთის
ფედერაციის
გადანწყვეტილება,
ეროვნული გუნდი
ყიფიანი-ძოძუაშვილის
დუეტს გაენგრთნა.
ძნელი გამოსაცნობი არ
იყო, რომ ორთავობა
საბოლოოდ უთავობაში
გადაიზრდებოდა და
მსოფლიოს 2002 წლის
ჩემპიონატის მერვე

შესარჩევ ჯგუფში
ქართული გუნდი
ფსკერზე
დაილექებოდა, არადა,
ჩვენებურთათვის
ყველაფერი კარგად
დაიწყო — სტუმრად
გამარჯვება
ლიტვასთან (4:0), მერე,
მართალია, მარცხი
ანკონაში იტალიასთან
(0:2), თუმცა
მსოფლიოს სამგზის
ჩემპიონებთან ტოლ-
სწორი თამაში, რამაც
ქართველ ქომაგთა
გულში იმედს
არსებობის უფლება
დაუტოვა. ამას მოჰყვა
თბილისური
სირცხვილი
რუმინეთთან,
გულისმოსაფხანი
მარცხი იტალიასთან
და თავსლავისდასხმა
ბუდაპეშტში უსახურ

უნგრეთთან.
საქართველოს ნაკრები
მერვე ჯგუფის
ფსკერისკენ დაეშვა.
და დაიწყო...
ფეხბურთის
ფედერაციის
პრეზიდენტმა მერაბ
ყორდანიამ
მწვრთნელებს
თანამდებობის
დატოვება მოსთხოვა.
ყიფიანი გადადგა,
ძოძუაშვილი კი
ალაპარაკდა,
ალაპარაკდა იმაზე,
რასაც ქართული მედია
და გულშემმატიკივარი
გრძნობდა — დუეტი
შეთანხმებულად ვერ
მუშაობდა. გუნდის
მომზადებისას და
მატჩებისთვის
შემადგენლობის
შერჩევას აზრთა
სხვადასხვაობამ
ნაკრებისგან
ალარაფერი დატოვა.
ალაპარაკდნენ
ფეხბურთელებიც,
რომელთა უმეტესობამ
მწვრთნელთა
პროფესიონალიზმს
ეჭვის თვლით შეხედა.
ასეთ ვითარებაში
ყიფიანმა გაცლა
ამჯობინა. ეულად
დარჩენილი
ძოძუაშვილი კი
ფეხბურთის
ფედერაციის
ალმასკომზე მისი
მწვრთნელად
დატოვების
აუცილებლობის
დამტკიცებას შეეცადა,
აქამდე ნაკრებში
პირველი ვიოლინო
დავით ყიფიანი იყო,
ახლა კი მომეცით
შანსი, მარტომ
ვუხელმძღვანელო
გუნდს და დარჩენილ
სამ თამაშსაც



ქართველი მორაგბეების
ფრანგი მწვრთნელი
კლოდ სორელი: რა
სარგებლობა მოაქვს
უცხოელს
ქართველებისთვის...

მოვიგებო.
ალმასკომმა
ძოძუაშვილიც
ყიფიანის გზას გაუყენა
— ორთავა ნაკრები
უთავოდ დარჩა.
ფედერაცია ახალი
მწვრთნელის ძიებას
შეუდგა, სიტყვა
უცხოელ
სპეციალისტზეც
ჩამოავდო, მაგრამ ისევ
ძველ გზას დაუბრუნდა
— მსოფლიოს
ჩემპიონატის
შესარჩევი ციკლის
დარჩენილ სამ მატჩში
ნაკრებს განვრთნის
ალექსანდრე ჩივაძე,
ფეხბურთის
ფედერაციის ვიცე-
პრეზიდენტი,
რომელსაც ქვეყნის
უპირველეს გუნდში
მუშაობისა და
პასუხისმგებლობის
გამო თანამდებობიდან
გადადგომის
გამოცდილება
უმაგრებს ზურგს.
უცხოელი? უცხოელი
მოიცდის.

საქართველო — ისრაელი. წლეულს ყიფიანმა და
ძოძუაშვილმა ისრაელთან ამხანაგურ მატჩში
გამარჯვებითა მოიწონეს თავი



გადარი კათილაკაძე



უნგრეთი 4:1 საქართველო



გუდაპეშტი. „ნეპტადიონი“. 10 000 მაყურებელი

1:0 მათიუში (40), 2:0 შებოკი (45 პ), 3:0, 4:0 ა. კორსოში (55, 62), 4:1 კობიაშვილი (77)
უნგრეთი: კირალი, დ. კორსოში, შებოკი, პეტო, მათიუში, ლისტეში (ლენდვაი 80), ჰალმაი (დარდაი 70),
კაბატი, ილეში, ა. კორსოში (დომბი 77), პორვატი
საქართველო: ზოიძე, ხიზანიშვილი, ნემსაძე (ქემოკლიძე 67), კობიაშვილი, აბრამიძე, რეხვიაშვილი, კალა-
ძე (თოდუა 67), ყაველაშვილი (ქინქლაძე 53), ქეცბაია, შ. არველაძე, ა. არველაძე
მსაჯი: პარტმუდ შტრამპე (გერმანია)

დიდებული ძია იუბკანი

ჩვენები ხომ მაინც წააგებენ...

კობა ინასარიძე

ბუდაპეშტში მატჩის გასაშუქებლად მიემგზავრებით? თავს ტყუილად რად იწვალეთ, ჩვენები ხომ მაინც წააგებენ – „საქართველოს ავიახაზები – აირზენას“ „ბოინგი“ ვენაში ეშვებოდა. გვერდით მხდომმა ჭალარაშერეულმა კაცმა ლუდი რომ მოსვა, ეს მითხრა და ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ თითქმის იგივე მოვისმინე უნგრელი მესაზღვრისგან, ჩემს პასპორტს საგულდაგულოდ რომ ფურცლავდა და ვიზის მისაღებად სასაზღვრო ზონაში ორ საათს მალოდინა.

ჟურნალისტი ბრძანდებით? ჩვენები რუმინეთიდან ჯერ არ დაბრუნებულან, იქ წაგეს და არც თქვენების მომგებნი არიან – ჭალარა ქართველისა არ იყოს, მადიარი მესაზღვრეც უიმედო თვალებით მომაცქერდა, ფეხბურთის ქომაგობა ეცყობოდა და უნგრეთის ნაკრების რუმინეთში წინააღმდეგობით წაგებას შეეწეებინა.

პასპორტს ბეჭედი რომ დაჭირა და ქვეყანაში შესვლის უფლება მომცა, სასაზღვრო ზონას საქართველოს ნაკრებიც მოადგა. მოადგა და კარგა ხანსაც მოუნია ყურყუტმა, ბუდაპეშტში ნაშუადღევს ჩაფრენილებმა, ხუთი საათი სრულდებოდა, სასტუმროსკენ რომ გასწიეს.

ისე მოხდა, ახალგაზრდული ნაკრებიც იმ სასტუმროში დაბინავდა, სადაც თავადვე გავჩერდი –

„ნეპტადიონიდან“ წუთის გზაზე, „შტადიონში“. ეროვნული გუნდი პატარა სამოთხეში ცხოვრობდა, კუნძულზე, სასტუმრო „ტერმალში“ და ზოგიერთი ფეხბურთელი ისე არხეინდა იყო, უცხო თვალს ტურისტი უფრო ეგონებოდა, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ ჩასული გუნდის წევრი. ყველაფერი აქედან დაიწყო და აქი სამარცხვინოდ წაგებულმა მატჩმაც კარგად გამოაჩინა როგორი განწყობაც სუფევდა თამაშამდე საქართველოს ნაკრებში. აბა, თქმით ვინ რას იტყოდა და ხმამალთა საპირისპიროსაც კი ამტკიცებდნენ, თავს არ დავზოგავთო, მაგრამ სიტყვა ხომ ერთია და ქცევა მეორე... არადა, საკვირველი ისაა, ქალაქში, დიდი და პატარა, ერთსა და იმავეს რომ ამბობდა და უნგრელების გამარჯვება ყველას ძალიან ეეჭვებოდა.

სასტუმრო „შტადიონის“ ერთ-ერთი პორტიე, ორმოცდაათს მიტანებული, უღვაძანეპილი იბტვანი გახლდათ, ფეხბურთის დიდი ქომაგი. ჩემი იქ ყოფნის მიზეზი რომ გაიგო სად დავმალუთიყავი, აღარ ვიცოდი. თვალს მომქრავდა და ორსაათიანი მონოლოგის მოსმენაც გამონერვლილი მქონდა. ბევრი რამ ახსოვდა და ფეხბურთზეც თავისებური შეხედულება ჰქონდა. ახსოვდა ყიფიანის თამაში, თბილისის „დინამოს“ MTK-სთან წაგება და კიდევ ბევრი რამ. ჰოდა, ამ ძია იბტვანმა თქვა ნამატჩევს, ქართველი



ქართველებს პირველი მატჩიუშმა (№4) თავით გაუტანა

ფეხბურთელები ნამეტანი ზარმაცები ყოფილან და მგონი, არც მცოდნე მწვრთნელები ჰყავთო. ასე ბრძანა კაცმა, რომელსაც მატჩამდე იმ მესაზღვრის მსგავსად, მაღიართა გამარჯვება აეჭვებდა. ძია იშტვანის განწყობა ჰქონდა თითქმის ყველას, ვისთანაც ჯი მატჩამდე ფეხბურთზე ვისაუბრე და ყველაზე სამწუხარო ისაა, თამაშის შემდეგ საქართველოს ნაკრებზე მაღიარებს საპირისპიროდ წარმოდგენა რომ შეეცვალათ, ავღებული სიტყვის თქმის საბაბი მიეცათ.

„ნუ ცელქობთ ბავშვებო“ – აი, ასე დაასათაურა ერთ-ერთმა

პოპულარულმა უნგრულმა გაზეთმა ამ მატჩის მიმოხილვა და როგორც პორტიე იშტვანმა მითხრა, ტექსტშიც საქართველოს ნაკრებისთვის ერთი-ორი უსიამოვნო, მაგრამ სამართლიანი ფრაზა იკითხებოდა.

მართლაც სამარცხვინო იყო ქართველთა თამაში და კიდევ უფრო გულსაკლავი მათი ცქერა.

„ნუშტადიონზე“, სტადიონზე, რომელზეც უამრავ დიდ ფეხბურთელს გაუგორებია ბურთი, ქართველი ფეხბურთელები ძალიან პატარები ჩანდნენ. საოცარი იყო, რომ პრესლოჟის უკანა კედელს უნგრეთის „დიდი გუნდის“

უშველებელი ფოტო ამშვენებდა. პუშკაში და მისი არანაკლებ სახელოვანი პარტნიორები იმ მოედანს დასცქეროდნენ, სადაც, ჩვენბური ფეხბურთელები უნიათოდ, უახარტოდ, უემოციოდ ბურთაობდნენ. აი, პარადოქსი: ზურგსუკან უნგრეთის „დიდი გუნდი“ და ცხვირწინ საქართველოს ამჟამინდელი გუნდი – გუნდი უცოდინარი და უთავმოყვარეო.

და მერე ბუდაპეშტში იყო ერთი ამბავი. გათენებამდე პურ-მარილი და იქაური ფეხბურთელების სადღეგრძელოები. ქუჩაში თვალებანთებული, გახარებული უნგრელი ქომაგები და ერთი სახედამყავებული ქართველი ჟურნალისტი:

- ქართველი ხართ?
- დიახ.
- მერე, ეგაა თქვენი ნაკრები..?

ასეთი ირონიული ჟიბუჯებიც იყო და ტუდის დიდი ჯათხების ჭახუნიც. ნახევრად შიშველი ქალები და შუა ქუჩაში მათზე ჩახუტებული მთვრალი ჯაცები. ულამაზესი ქალაქი და

ევროკავშირის ქარის ზღურბლზე მდგარი ქვეყანა. საქართველოს ნაკრები და გაცრეებული იმედი. და გახსენება იმ სიტყვებისა, პარიზში შვილების მოსანახულებლად მიმავალმა ჭალარა ჯაცმა ვენის თავზე რომ მითხრა – თავს ცყუილად რად იწვალე, ჩვენები ხომ მაინც წააგებენ..?

წვალეებისა რაღა მოგახსენოთ, მაგრამ გუნდი, რომ 1:4-ს წააგებს, წააგებს „ისე რა“ გუნდთან და მერე, 10-15 წუთში ფეხბურთელები მწვრთნელებიანად ისე მოიქცვიან, თითქოს არაფერი მომხდარა და გულიანად იხარხარებენ, მეტი საწერიც რა უნდა იყოს...

და ისევ ის ძია იშტვანი: არ მეგონა ქართული ფეხბურთი ასეთი დაუძლურებული თუ იყო. საქართველოს ნაკრებზე წარმოდგენა წამიხდა. „ნეპშტადიონზე“ ფეხბურთის საცქერლად ვიყავი და რაღაც ისეთი ვნახე, ფეხბურთს მხოლოდ და მხოლოდ ბუნდოვნად რომ ჰგავდა. მართალი თქვა ამ მადიარმა.

დიარდ ზემულსი





შესარჩევნი მატჩები

I ჯგუფი

2 ივნისი

რუსეთი 1:1 იუგოსლავია
ფარერები 0:1 შვეიცარია
სლოვენია 2:1 ლუქსემბურგი

6 ივნისი

შვეიცარია 0:1 სლოვენია
ლუქსემბურგი 1:2 რუსეთი
ფარერები 0:1 იუგოსლავია

რუსეთი	7	5	2	0	10:3	17
სლოვენია	7	3	4	0	11:7	13
შვეიცარია	7	3	2	2	14:6	11
იუგოსლავია	6	2	3	1	11:4	9
ფარერები	6	1	1	4	5:15	4
ლუქსემბურგი	7	0	0	7	2:18	0

15 აგვისტო

იუგოსლავია — ფარერები
1 სექტემბერი
შვეიცარია — იუგოსლავია; სლოვენია — რუსეთი;
ფარერები — ლუქსემბურგი

5 სექტემბერი

იუგოსლავია — სლოვენია; ლუქსემბურგი — შვეიცარია;
ფარერები — რუსეთი

6 ოქტომბერი

იუგოსლავია — ლუქსემბურგი; რუსეთი — შვეიცარია;
სლოვენია — ფარერები

II ჯგუფი

2 ივნისი

ირლანდია 1:1 პორტუგალია
ესტონეთი 2:4 პოლანდია

6 ივნისი

ესტონეთი 0:2 ირლანდია
პორტუგალია 0:1 კვიპროსი

ირლანდია	8	5	3	0	18:5	18
პორტუგალია	7	4	3	0	18:5	15
პოლანდია	7	4	2	1	21:8	14
ესტონეთი	7	2	1	4	8:14	7
კვიპროსი	7	2	1	4	10:22	7
ანდორა	8	0	0	8	4:25	0

15 აგვისტო

ესტონეთი — კვიპროსი
1 სექტემბერი
ანდორა — პორტუგალია; ირლანდია — პოლანდია

5 სექტემბერი

პოლანდია — ესტონეთი; კვიპროსი — პორტუგალია

6 ოქტომბერი

პოლანდია — ანდორა; პორტუგალია — ესტონეთი;
ირლანდია — კვიპროსი

III ჯგუფი

2 ივნისი

ისლანდია 3:1 მალტა
ჩრდ. ირლანდია 0:1 ბულგარეთი
დანია 2:1 ჩეხეთი

6 ივნისი

ისლანდია 1:1 ბულგარეთი
დანია 2:1 მალტა
ჩეხეთი 3:1 ჩრდ. ირლანდია

დანია	7	4	3	0	13:5	15
ჩეხეთი	7	4	2	1	10:3	14
ბულგარეთი	7	4	2	1	12:7	14
ისლანდია	7	3	1	3	11:10	10
ჩრდ. ირლანდია	7	1	1	5	6:11	4
მალტა	7	0	1	6	2:18	1

1 სექტემბერი

ისლანდია — ჩეხეთი; მალტა — ბულგარეთი; დანია — ჩრდ. ირლანდია

5 სექტემბერი

ჩეხეთი — მალტა; ბულგარეთი — დანია; ჩრდ. ირლანდია — ისლანდია

6 ოქტომბერი

ჩეხეთი — ბულგარეთი; დანია — ისლანდია; მალტა — ჩრდ. ირლანდია

IV ჯგუფი

2 ივნისი

შვედეთი 2:1 სლოვაკეთი
თურქეთი 3:1 აზერბაიჯანი
მაკედონია 2:2 მოლდოვა

6 ივნისი

შვედეთი 0:1 სლოვაკეთი
თურქეთი 3:3 მაკედონია
აზერბაიჯანი 2:1 მოლდოვა

შვედეთი	7	5	2	0	13:1	17
თურქეთი	7	4	3	0	13:6	15
სლოვაკეთი	7	3	2	2	7:6	11
მაკედონია	7	1	3	3	9:10	6
აზერბაიჯანი	7	1	1	5	3:11	4
მოლდოვა	7	0	3	4	2:13	3

1 სექტემბერი

მაკედონია — შვედეთი; მოლდოვა — აზერბაიჯანი;
სლოვაკეთი — თურქეთი

5 სექტემბერი

თურქეთი — შვედეთი; სლოვაკეთი — მოლდოვა;
აზერბაიჯანი — მაკედონია

7 ოქტომბერი

მაკედონია — სლოვაკეთი; მოლდოვა — თურქეთი;
შვედეთი — აზერბაიჯანი

V ჯგუფი

2 ივნისი

სომხეთი 0:1 ბელარუსი
უელსი 1:2 პოლონეთი
უკრაინა 0:1 ნორვეგია

6 ივნისი

ნორვეგია 1:1 ბელარუსი
უკრაინა 1:1 უელსი
სომხეთი 0:1 პოლონეთი

პოლონეთი	7	5	2	0	16:6	17
ბელარუსი	7	3	3	1	8:7	12
უკრაინა	7	2	4	1	7:7	10
უელსი	7	0	5	2	7:9	5
ნორვეგია	7	0	4	3	5:8	4
სომხეთი	7	0	4	3	6:12	4

1 სექტემბერი

ბელარუსი — უკრაინა; უელსი — სომხეთი; პოლონეთი — ნორვეგია

5 სექტემბერი

უკრაინა — სომხეთი; ბელარუსი — პოლონეთი; ნორვეგია — უელსი

6 ოქტომბერი

უელსი — ბელარუსი; სომხეთი — ნორვეგია; პოლონეთი — უკრაინა

VI ჯგუფი

2 ივნისი

სორვატია 4:1 სან მარინო
ბელგია 3:1 ლატვია

6 ივნისი

ლატვია 0:1 სორვატია
სან მარინო 1:4 ბელგია

ბელგია	6	4	2	0	23:5	14
სორვატია	5	3	2	0	10:2	11
შოტლანდია	5	3	2	0	10:3	11
ლატვია	7	1	1	5	4:14	4
სან მარინო	7	0	1	6	3:26	1

1 სექტემბერი

შოტლანდია — სორვატია

5 სექტემბერი

სან მარინო — სორვატია; ბელგია — შოტლანდია

6 ოქტომბერი

სორვატია — ბელგია; შოტლანდია — ლატვია

VII ჯგუფი

2 ივნისი

ესპანეთი 4:1 ბოსნია
ლიხტენშტაინი 0:3 ისრაელი

6 ივნისი

ისრაელი 1:1 ესპანეთი

ესპანეთი	6	4	2	0	15:4	14
ავსტრია	5	3	2	0	7:3	11
ისრაელი	6	3	1	2	10:6	10
ბოსნია	5	1	1	3	7:10	4
ლიხტენშტაინი	6	0	0	6	0:16	0

1 სექტემბერი

ბოსნია — ისრაელი; ესპანეთი — ავსტრია

5 სექტემბერი

ლიხტენშტაინი — ესპანეთი; ავსტრია — ბოსნია

7 ოქტომბერი

ისრაელი — ავსტრია; ბოსნია — ლიხტენშტაინი

VIII ჯგუფი

2 ივნისი

რუმინეთი 2:1 უნგრეთი
საქართველო 1:2 იტალია

6 ივნისი

ლიტვა 1:2 რუმინეთი
უნგრეთი 4:1 საქართველო

იტალია	6	5	1	0	15:3	16
რუმინეთი	6	4	0	2	7:6	12
უნგრეთი	5	2	1	1	13:7	8
საქართველო	5	1	0	4	6:10	3
ლიტვა	6	0	1	5	3:18	1

1 სექტემბერი

საქართველო — უნგრეთი; ლიტვა — იტალია

5 სექტემბერი

საქართველო — ლიტვა; უნგრეთი — რუმინეთი

6 ოქტომბერი

იტალია — უნგრეთი; რუმინეთი — საქართველო

IX ჯგუფი

2 ივნისი

საბერძნეთი 1:1 ალბანეთი
ფინეთი 2:2 გერმანია

6 ივნისი

საბერძნეთი 0:2 ინგლისი
ალბანეთი 0:2 გერმანია

გერმანია	6	5	1	0	13:5	16
ინგლისი	5	3	1	1	7:3	10
საბერძნეთი	6	2	0	4	4:10	6
ფინეთი	5	1	2	2	5:6	5
ალბანეთი	6	1	0	5	5:10	3

1 სექტემბერი

გერმანია — ინგლისი; ალბანეთი — ფინეთი

5 სექტემბერი

ინგლისი — ალბანეთი; ფინეთი — საბერძნეთი

6 ოქტომბერი

გერმანია — ფინეთი; ინგლისი — საბერძნეთი

REUTERS



ლევან მელქაძის (შუაში) ავსტრიაში გატანილმა გოლმა „ვიტ ჯორჯია“ ინტერტოტოს მეორე ეტაპზე გაიყვანა

ვიტალელი

მწვრთნელის ჭაშნიკი

სოსო კობორიძე

308-მ ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ვახუშტის დედას, ევროსარბიელი ქართულ კლუბთაგან პირველმა თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“ დააჭამა.

მეთორმეტე ეროვნულში მეთხუთმას დაჯერებული ვიტალელებმა ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ავსტრიული „რიდის“ წინააღმდეგობა დასძლიეს და ფრანგულ „ტრუასთან“ მთუხდათ ორმატიანი პაექრობა.

იტალიელი ჯანი კარნევალის მიერ დამოძღვრულმა „ვიტ ჯორჯიამ“ თბილისურ მატჩში კაცნაკლულმა აჯობა ავსტრიელებს. ალეკო ვოგობერიშვილის საჯარიმოდან გატანილმა გოლმა მეორე ეტაპზე ვახუშტის შანსი გაუორმაგა ვიტალეებს.

სამასხუთ შეხვედრებშიც რივიანად ვახუშტის კარნევალის შევირდები, ლევან მელქაძის გო-

ლით დაწინაურდნენ კიდევ, მაგრამ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა ვერ შეძლეს, ისევ უმცირესობაში დარჩენილებმა მეტოქეს ორი ბურთის გატანა დაახებეს და დამარცხდნენ. თუმცა მელქაძის გოლის წყალობით, ზემოთაც გითხარით, ფრანგულ „ტრუასთან“ დაიჭირეს საქმე. აქ კი შერცხვნიერ ქართველები, პირველ მატჩში, რომელსაც ოსერის „აბატ დეშანმა“ უმასპინძლა, ფრანგებმა ექვსი გოლი გაუტანეს ჩვენებურებს და შემდეგ ეტაპზე თამაშიც გაინადღეს.

სანამ „ვიტ ჯორჯია“ „ტრუასთან“ თფლს ღვრის, იმ ქართულ კლუბებზეც ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზე რომ ითამაშებენ.

ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქედ ქართველთათვის კარგად ნაცნობი ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“ ერგო.

უეფას თასზე მთამაშე თბილისის „დინამოს“ და „ლეოპოლტივის“, შესაბამისად, ბელარუსული „ბატე“ და მალტური „ბირკირკარა“.

30 03 01

ლივერპულის დაბრუნება YOU'LL NEVER WALK ALONE


წლეულს ევროპას „ლივერპული“ დაუბრუნდა.

უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ „ლივერპულმა“ დაიბრუნა ევროპა.

დაიბრუნა ხმაურით, ომით, სიფრთხილით, თავზეხელაღებულობით, ჭკუით და მოუტლულობით. ბოლო დიდი ევროპული გამარჯვებიდან თექვსმეტი წლის თავზე „ლივერპულმა“ თავის ისტორიაში მესამედ მოიგო უეფას თასი და გაისად ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს.

ახუ „ლივერპული“ ევროპას დაუბრუნდა.





ბილ შენკლი და ბობ პეისლი

იარაკლი გაემკრედიოქ

მკრედიოქს დიდი, ისტორიული საკლუბო ზუთეულის უცილობელი წევრი, კლუბი, რომელიც გაისად ასათი წლისა შეიქნება, ათ წელიწადზე მეტია, არა თუ საერთაშორისო, საშინაო ტიტულსაც კი არ გაკარებია. არადა, ეს არის „ლივერპული“, რაც დაახლოებით იგივეა, რაც მადრიდის „რეალი“, მიუნხენის „ბაიერნი“, ამსტერდამის „აიაქსი“ და „მილანი“.

ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი, ინგლისის აბსოლუტური სატიტულო ლიდერი იმდენხანს იყო ჩრდილში, რომ ერთ ჩვეულებრივ, მტკერწაყრილ გუნდად ცხოვრობდა და არსებობდა.

და მოხერხდა, „ლივერპულმა“ კვლავ შემოადლო კარი. შემოადლო თუ შემოგლიჯა, ეს უკვე ძნელი გასარკვევია, რადგან ახალი სეზონის წინ ვერ ვიტყვი, რომ ჯერჯერობით, „ლივერპული“ თვითდამკვიდრებისთვის იბრძოლებს.

ერთ დროს „ლივერპული“ ჩვეულებრივი კლუბი იყო. ანუ, არსებობის პირველი სამოცი წლის განმავლობაში, მას შეეძლო ეამაყა გამარჯვებით, მაგრამ ვერაინ იტყოდა, რომ იგი დიადი კლუბია, ვთქვათ ისეთი, როგორც „არსენალი“. ვერაინ იტყოდა, რომ „ლივერპულს“ აქვს თავისი საფეხბურთო ფილოსოფია და გამორჩეული სტილი, ასე დამახასიათებელი დიადი კლუბებისთვის.

სანავსადგურო ქალაქი, მერსისაიდი, ლანკაშირი, ერთი ქალაქის ორი მოქიშპე კლუბი: „ლივერპული“ და „ევერტონი“. მუშათა წრიდან მოსული ფეხბურთელები. საერთოდ, „ლივერპულს“ არასოდეს ჰყოლია ბევრი ვარსკვლავი, არც ძველ ფეხბურთში და არც შემდგომ. თუმცა, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

ინგლისურ ფეხბურთში დღემდე შემორჩენილია ერთი ძველი ადათ-წესი ხანგრძლივი მენეჯერობისა. ამ ადათის მაგალითი დღეს ალექს ფერგისონია, ადრე

კი ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. კლუბების ისტორია, კლუბების გამოღვიძება, აღზევა და დამკვიდრება სწორედ ამ კლუბებთან შეზრდილ მენეჯერთა სახელებს უკავშირდებოდა. ბევრს გამართლებია ასეთ მენეჯერთაგან და ბევრს არა. ამბობენ, რომ ძლიერებს უმართლებთ.

„ლივერპულის“ შემთხვევაში კი გარდამტეხი 1959 წელია, როცა ამ საშუალოზე საშუალო კლუბის მენეჯერად სქოთი ბილ შენკლი დაინიშნა. შენკლის მანამდე გაეწერთნა „კარლაისლი“, „გრიმსბი“ და „პადერსფილდი“, საშუალოზე კიდევ უფრო საშუალო, იმხანად დივიზიონებში მოხე-



კენი დაღვლიში

ტიალე გუნდები. იმხანად, ორმოცდაექვსი წლისა იყო, დაბადებულყოფი აირშირის საგრაფოში, პაწაწინა ქალაქ გლენბაკში. რაც გინდათ ის თქვით და შოტლანდია ნაღდად არის დიდი მწვრთნელების მიწა. ეს პაწაწინა გლენბაკი იმიტომაც მოვიხსენიეთ, რომ იგი სამშობლოა კიდევ ორი დიდი მწვრთნელისა. მატ ბასბი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მენეჯერი და ჯოკ სტინიცი, კაცი, რომელმაც დიდი „სელტიკი“ შექმნა, აქაურები იყვნენ.

ინგლისურ ფეხბურთში სქოთური დამსახურების შესახებ აღარაფერს ვიტყვი, ეს ისედაც ცხადია. აი, ბილ შენკლის გამოჩენა „ლივერპულში“ კი ამ კლუბისთვის არა მხოლოდ საფეხბურთო თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი. ამ კაცმა „ლივერპულს“ საფეხბურთო კულტურა შექმნა. მან შექმნა დიდი გუნდი, თავისებური სტილი, ისტორია და თავისი კვალი არათუ მხოლოდ „ენფილდის“ სტადიონს, არამედ მთელს ქალაქსაც დაატყო. თხუთმეტ წელიწადს იღვა კლუბის სათავეში და ქალაქის სიმბოლოდაც იქცა.

ვინ იყო ბილ შენკლი? ტანდაბალი, ჩასხმული და ავი კაცი. ადამიანი, რომლის ოხუნჯობებმაც დროს გაუძლო. რომლის სწრაფი, მოძრავი თვალები იმდენს ხედავდა, რამდენიც „ენფილდზე“ არავის დაუნახავს. მისი მწარე ენა საქმისთვის იყო, მისი სიმკაცრე და სითამამე ინგლისში კლასიკურად ცნობილ მენეჯერობის სტილს გამოხატავდა, მისი ფეხბურთი კი ძალიან საინტერესო გახლდათ. კლუბის შესაძლებლობებიდან და ტრადიციიდან გამომდინარე, შენკლი იმ დროისთვისაც კი დიდ ყიდვა-გაყიდვას ვერ დაიწყებდა. მისი პრინციპი არსებულის გამოყენება და ფრთხილი განახლება იყო. ეს მისეული მიდგომა დიდხანს გაკყვა „ლივერპულს“. შენკლი ფეხბურთელებს ხელქვეითებად თვლიდა. ფეხბურთელები აღმერთებდნენ მას და ეშინოდათ მისი. შენკლი მწარედ ზუმრობდა და ამ ზუმრობა-ზუმრობაში ქმნი-



კევინ კიგანი

REUTERS

და გუნდს, რომელშიაც არავინ იყო განსაკუთრებული ფეხბურთელი. გუნდი მოძრაობდა, იბრძოდა და თამაშობდა მაღალ ტემპში. შენკლის უყვარდა მრავალსელოანი, სწრაფი კომბინაციები, როცა ფეხბურთელი ორჯერ-სამჯერ ეხება ბურთს, შეტევის აქცენტის უცაბედი ცვლა და მოულოდნელი გრძელი პასები. როდესაც ის გუნდში მივიდა, „ლივერპული“ ჩვეულებრივი კლუბი იყო, როცა ის გუნდს ტოვებდა, „ლივერპულს“ ევროპა იცნობდა, როგორც უფასო თასის ორგანიზატორს. 60-იანი წლების „ლივერპულზე“ აშენდა 70-იანი წლების „ლივერპული“. შენკლიმ არ უღალატა ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბებულ პრინციპებს და გუნდში ახალგაზრდობა თანდათან შეიყვანა. „ლივერპულში“ ყოველთვის იყო ვიღაც ახალი, საინტერესო ფეხბურთელი. სრულიად უცნობ ბიჭს შეეძლო თამაშის ბედი გადაეწყვიტა. ეს შენკლის სისტემის შედეგი იყო. 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ამსტერდამის „აიაქსი“ და ტოტალური ფეხბურთი თვალისმომჭრელ ცნებებს წარმოადგენდა, „ლივერპულმა“ ევროპის კარი უკვე სერიოზულად შეაღო. შენკლის გუნდი, გუნდი-„ვარსკვლავი“ იყო, „ლივერპულის“ ყოველ თაობას ჰყავდა ერთი ისეთი ფეხბურთელი, მსოფლიო „ვარსკვლავთა“ ხუთეულში რომ ჩაჯდებოდა, მაგრამ მეტი არ ჰყოლია. „ლივერპულს“ არასოდეს ჰყოლია კრუიფი და ბეკენბაუერი, მაგრამ განა ბევრს ჰყავდა ისინი? სწორედ შენკლიმ იპოვნა სკანტორპელი ბიჭი, კევინ კიგანი, რომელიც მერე ორჯერ ზედიზედ გახდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. „ლივერპულში“ ყოველთვის იყვნენ

მაღალი კლასის ფეხბურთელები: შენკლის კარიერის მიწურულს, უკვე ევროპული წარმატებებისას აქ თამაშობდნენ რეი კლემენსი, სტივ ჰეივეი, ჯონ ტოშაკი, რეი კენელი, სხვანი და სხვანი.

თუმცა, „ლივერპული“ არასოდეს ეკიდებოდა თავის ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელს. კიგანის „ჰამბურგში“ გაყიდვის შემდეგ მისი ადგილი „სელტიკიდან“ მოყვანილმა კენი დალგლიშმა დაიკავა, რომელიც გუნდის ათწლიან ლიდერად იქცა.

შენკლის სახელს უკავშირდება ერთი ლივერპული ტრადიცია: მისი პენსიაზე გასვლის შემდეგ, მენეჯერის ადგილი ძველმა ლივერპულმა, შენკლის მარჯვენა ხელმა ბობ პეისლიმ დაიკავა, პეისლი კი თავის მხრივ, ჯო ფეგანმა შეცვალა, რომელიც პეისლის თანაშემწე იყო, მანამდე კი შენკლისავე შტაბში მსახურობდა ასისტენტად. შენკლის დროიდან მოყოლებული, „ლივერპული“ მენეჯერობა კლუბის საქმეებში ბოლომდე ჩახედული, სისხლით ლივერპულელის ხელობა იყო. უკვე ევროტურნირებიდან მოკვთილ „ლივერპულს“ ფეგანის შემდეგ მენეჯერობა კენი დალგლიშმა, პირდაპირ კაპიტნობიდან მოთამაშე მწვრთნელად, შემდეგ კი მენეჯერად მყოფი პირდაპირ კაპიტნობიდან შეიქნა მენეჯერი გრემ სუნესიცი, მისი ადგილი კი როი ევანსმა დაიჭირა, რომელმაც მთელი კარიერა, როგორც მოთამაშემ და აღმინისტრატორმა, „ლივერპულში“ გაატარა.

ევანსს თანამენეჯერად შეუწყვილდა ჟერარ ულიე, პირველი კონტინენტული მწვრთნელი, რომელიც ახლაც ხელმძღვანელობს გუნდს. ამით თითქოს დაირღვა „ლივერპული“ ტრადიცია, თუმცა, ფრანგი ულიეც კარგაჩინი სულიერ კავშირშია „ლივერპულთან“. სწორედ ამ ქალაქში მუშაობდა ის ფრანგულის მასწავლებლად „ბიტლსის“ ეპოქაში და სწორედ „ენფილდზე“ ნახა შენკლის გუნდის ერთი რიგანი მატჩი 1968 წელს, რის შემდეგაც მტკიცედ გადაწყვიტა საფეხბურთო მწვრთნელი გამხდარიყო და სწორედ ეს წითლად მოსილი გუნდი გაეწვრთნა. შენკლის „ლივერპულმა“ აღაფრთოვანა ჟერარ ულიე და ოცნებაც ახდა.

ბილ შენკლი 1981 წელს გარდაიცვალა. იმ წელიწადს, როცა „ლივერპულმა“ მესამედ მოიგო ჩემპიონთა თასი. ამ დროს გუნდს უკვე პეისლი წვრთნიდა. მის ხელში, 1984 წლამდე „ლივერპულმა“ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, ერთხელ უფასო, მხოლოდ ორჯერ დამოუკიდებელი ჩემპიონობა (ჩემპიონთა თასის მომავალ მფლობელებთან, „ნოტინგემთან“ და „ასტონ ვილასთან“) და მსოფლიო ფეხბურთის სათავეში მოექცა. პეისლის „ლივერპულში“ ასევე არ თამაშობდნენ პლატინი, ფალკო და მარინო კემპესი. პეისლის მმართველობის ჟამს, „ლივერპული“ ევროპის უძლიერესი გუნდი იყო, ოლონდ კი, ერთი უცნაურობა სდევდა თან — აღმოსავლეთევროპულ გუნდებთან უჭირდა თამაში. ასე დაატოვებინეს მას ჩემპიონთა თასის გათამაშება ბულგარულმა, პოლონურმა და საბ-


ჭოთა კლუბებმა. ამის მიუხედავად, მონაგარი მეტად შთაბეჭდილი იყო, ძალმოსილება ამ გუნდისა კი შეუდარებელი. პრინციპები ძველი, თამაში — ახალი. ისევე, როგორც შენკლი, პეისლიც გვეგმაზობდრად ანახლებდა შემადგენლობას, ღერძი კი უცვლელი რჩებოდა. ამგვარი განახლების ორი მაგალითი სახეზეა — ზიმბაბველი მეკარე ბრუს გრობელაარი და უელსელი ფორვარდი იან რაში. რაშს, რომელიც შემდგომში „ლივერპულის“ ისტორიულ მეგოლედ იქცა, ძალიან დაღვანა უჭირდა ფსიქოლოგიური ჯებირის გადალახვა და სათადარიგოთა სკაშზე იჯდა. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ერთ დღეს პეისლიმ არ უთხრა: „ახლა მოედანზე გახვალ და გოლს გაიტან. შენი დრო დადგა“.

საერთოდ, ინგლისურ კლუბებში იმთავითვე ბევრი იყვნენ უელსელი, ირლანდიელი და სქოთი ფეხბურთელები. ეს ჩვეულებრივი და მიღებული ამბავია დღესაც. „ლივერპული“ კი ამ მხრივაც გამორჩეული კლუბი იყო, ჯერ კიდევ შენკლის დროიდან, როცა „ენფილდზე“ გამოჩნდნენ, ვთქვათ, იან სენტ ჯონის დარი მოთამაშე-

იან რაში



REUTERS



მაიკლ ოუენი

REUTERS

ნი. შოტლანდიური კვალი აქ ყოველთვის გამორჩეული იყო, რისთვისაც დაღვლი- შის, ჯონ უარკის და ალან ჰანსენის და- სახელებაც კმარა. რაც შეეხება ირლან- დიელებს, ლივერპული ხომ ერთგვარად ირლანდიური ქალაქი კია: XIX საუკუ- ნიდან აქ ღონიერი ირლანდიური თემი არ- სებობდა.

დღეს, ბოსმანის წესის პირობებში ხში- რად გაიგონებთ, ამა თუ იმ კლუბს ბევრი უცხოელი ჰყავსო — „ლივერპულშიც“ მოყვებიან ხოლმე თვლას, უდიეს გუ- ნდში სამი-ოთხი ინგლისელი თუ დარჩაო. აქ ის უნდა გაეიხსენიოთ, რომ ოთხმოცი- ანი წლების „ლივერპული“ ყველაზე ინტერბრეტანული კლუბი იყო. ჯო ფეგა- ნის ხელში, „ლივერპული“ ორჯერ ზედი- ზედ გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში. 1984 წელს, რომში, „რომას“ წინააღმდეგ პენალტებით მოგებულ ფინალში, სასტა- რტოში სამი ინგლისელი იყო, დანარჩენ- ბი სქოთები, ირლანდიელები და უელსე- ლები. მომდევნო წელს კი „ეიზელზე“, როცა „ლივერპული“ „იუვენტუსთან“ და- მარცხდა, მხოლოდ ფულ ნილი გახლდათ

ინგლისელი. აქვე ითქვას და ეს მკველი, სრულიად ლეგენდარული ფიგურაა ფეხ- ბურთის ისტორიაში და თავისი საკლუბო ჯილდოებით 50-იანი წლების მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავებს უდგას გვერდით. ნილმა კარიერის მანძილზე მოიგო უეფას თასი და ითამაშა ჩემპიონთა თასის ხუთ ფინალში, რომელთაგან ოთხში გაიმარჯვა.

ის მეხუთე, ნახსენებ ბრიუსელის „ეი- ზელზე“ იმავდროულად იყო ჩემპიონთა თასის ერთადერთი ფინალი, „ლივერპულმა“ რომ წააგო. „ეიზელის“ ტრაგიკული ის- ტორია ფეხბურთის ერთ-ერთი შავი ფურ- ცელია. თამაშის წინ ატეხილმა ჩხუბმა, რომლის წამომწყვნიც ინგლისელი ხუ- ლიგნები იყვნენ და რომლის მიზეზიც ტრი- ბუნაზე ადგილების განაწილება იყო, ჰყ- ლეტა და ტრიბუნის ჩამონგრევა გამოიწ- ვია, რამაც ოცდაცხრამეტი იტალიელის სიცოცხლე შეიწირა. თამაში მაინც ჩატა- რდა და „იუვენტუსმა“ პლატინის პენა- ლტით გაიმარჯვა, რომელიც ზბიგნეკ ბო- ნეკის საჯარიმოს გარეთ წაქცევისთვის დაინიშნა. „ლივერპულმა“ წააგო, რაც სა- ვსებით ლოგიკური იყო არსებული ვითა- რებიდან გამომდინარე. მაგრამ ეს წაგება ათწლეულებს გადაწვდა. „ეიზელის“ ტრა- გედია მხუთი წლით მოკვეთა ინგლისური კლუბები ევროპული ტურნირებიდან. ამ ხუ- თი წლის გავლის შემდეგ კი, კვლავაც ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული“, 1991 წელს კვლავაც არ დაუშვეს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. იზოლაციის წლებში „ლივერპული“ სამჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი. იმდენჯერ, რამდენჯერაც შენკლის ხელში. ახლანდელი „ლივერპული“ მეთე- რთმეტე წელიწადია ელოდება ჩემპიონის ტიტულს. ბოლო სეზონური გამარჯვება კენი დაღვლიშის მეთაურობით მოხდა, მა- გრამ დაღვლიშმა მალევე დატოვა „ლი- ვერპული“, წინა წელიწადს შეფვლდის „ჰი- ლსბოროს“ სტადიონზე, სათასო მატჩის წინ, ჰყელეტისას ლივერპულელ ფანთა და- ლუპამ დაღვლიშს, მისივე თქმით გუნდის ხელმძღვანელობის ყოველგვარი სურვილი მოუსპო და იგი ვერაფრით მოერია თავს. იზოლაციის ხანაში „ლივერპულის“. ვარს- კლავები იყვნენ „უოტფორდიდან“ მოსუ- ლი პირველი შავი ლივერპულელი ჯონ ბარნსი და იგივე იან რაში, ერთადერთი ლივერპულელი, რომელმაც კონტინენტზე გადასვლა გადაწყვიტა, უიღბლო სეზონი გაატარა „იუვენტუსში“ და უკან დაბრუ- ნდა.

90-იანი წლების „ლივერპული“, რაღა- ცით ჰგავდა შენკლის გუნდს, რომელიც ჯიუტად მიიწევდა ევროპისკენ, მაგრამ იქ ვერაფერს აღწევდა. თასების თასის ნახე- ვარფინალი ამ მხრივ უმაღლესი მიღწევა იყო. მაგრამ „ლივერპული“, რაღა თქმა უნდა, რჩებოდა უადრესად ქარიზმატულ, შთამბეჭდავ გუნდად, რომელიც ვერაფერს იეებდა, მაგრამ საუკეთესო თამაშებით, უცა- ბედი გაბრწყინებით ახსენებდა თავს სა- ფეხბურთო სამყაროს. სტივ მაკმანამანი, რობი ფაულერი და ჯემი რენდაი, ამ ქა-

ლაქის შვილები და ამ გუნდის ახალი ვარსკვლავები იყვნენ. „ლივერპული“ არ- ასოდეს ყოფილა მარტო. „არასოდეს და- რჩები მარტო“, ასე მთავრდება მსოფლი- ოში ყველაზე მეტად ცნობილი ლივერპუ- ლური სიმღერა, რომელსაც მღერიან მსო- ფლიოში ყველაზე ღრიალა კარსუკანა ტრიბუნის, კოპის მარადი მკვიდრნი. „არა- სოდეს დარჩები მარტო“ — კოპი მაშინ წამოიწყებს ხოლმე ამ სიმღერას, როცა შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდ წუთი რჩება. ეს კი ნიშნავს, რომ „ლივერპული“ უკვდავია, თამაში მთავრდება, მაგრამ წინ ახალი ბრძოლაა.

„ლივერპული“ უკვდავია. თავის ადგილას დაბრუნებული, უტეხ ქომაგთა ჯვართი გარემოსილი, უზარმაზარ ისტორიის მზიდავი, „ენფილდის“ გუ- ნდი ბრუნდება იქ, სადაც მისი ადგილია. ამ კლუბის წარსულსა და აწმყოზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება. თი- თქოს ბევრიც ვთქვიოთ, მაგრამ თითქმის ვერაფერი, სათამაშო სტილზე, დაუეციწყარი მატჩებზე, ფეხბურთელების და მათი ურთიერთობების შესახებ. ავე, წერილი დასრულდა და პირველად ვახსენებთ მა- იკლ ოუენს. მეტი რაღა გინდა?

ვერარ ულიე



REUTERS

„ლიბერალის“ ყველა ეპროპული ფინალი

1972-73 წ.წ. უფასო თასი

ენფილდი, ლივერპული. 10.05.73. 41 000
მსაჯი: ლინემარინი, ავსტრია
ლიბერალური 3 (კიგანი 21,32 ლილი 61)
ბორუსია, მიუნხენგლადბახი 0
ლიბერალური: კლემენსი, ლოულერი, ლინდსი, სმიტი, ლილი, ჰიუზი, კიგანი, კორმეი, ტომპსონი, ჰეივი, ჰოლი, კალაგანი
ბორუსია: კლემენსი, მიხალიკი, ნეტცერი, ბონ-ჰოფი, ფოგსონი, ვიშერი, დანერი, კულიკი, იენსენი (დროუპი, სიმონსენი), ჰანესი.

ბიოკუბერგმადიონი, მიუნხენგლადბახი, 23.05.1973. 35,000

მსაჯი: ჯახაგოვი, სსრკ
ბორუსია, მიუნხენგლადბახი 2
(ჰანესი 29,40)
ლიბერალური 0

ბორუსია: კლემენსი, სურაუ, ნეტცერი, ბონჰოფი, ფოგსონი, ვიშერი, დანერი, კულიკი, იენსენი, რუპი, ჰანესი
ლიბერალური: კლემენსი, ლოულერი, ლინდსი, სმიტი, ლილი, ჰიუზი, კიგანი, კორმეი, ჰეივი (ბოურსმა) ტომპსონი, კალაგანი

1975-76 წ.წ. უფასო თასი

ენფილდი, ლივერპული. 28.04.76. 49 000
მსაჯი: ბიერსი, ავსტრია
ლივერპული 3
(რიუენდი 59, კეისი 61, კიგანი 65)
ბრიუგე 2 (ლაბერტი 5, კოლსი 15)
ლიბერალური: კლემენსი, სმიტი, ნილი, ტომპსონი, ჰიუზი, კიგანი, რიუენდი, კალაგანი, ფერულაფი, ჰეივი, ტომპსონი (კეისი)
ბრიუგე: იენსენი, ბასტინი, კრიგერი, ლივენსი, ვოლდერსი, კოლსი, ვანდერვიევი, დეი-ბერი, ვან გოლი, ლამბერტი, ლეფვერი

ოლიმპიასტადიონი, ბრიუგე, 19.05.76. 32 000
მსაჯი: გლიოკენერი, გდრ
ბრიუგე 1 (ლაბერტი 11)
ლიბერალური 1 (კიგანი 15)

ბრიუგე იენსენი, ბასტინი, კრიგერი, ლივენსი, ვოლდერსი, კოლსი, ვანდერვიევი, დეიბერი (ინდერვიევი), ვან გოლი, ლამბერტი (სანდერსი), ლეფვერი.
ლიბერალური: კლემენსი, სმიტი, ნილი, ტომპსონი, ჰიუზი, კიგანი, კენედი, კალაგანი, კეისი, ჰეივი, ტომპსონი (ფერულაფი)

1976-77 წ.წ. ჩემპიონთა თასი

სტადიო ოლიმპიკო, რომი, 25.05. 52 000
მსაჯი: ვერზი, საფრანგეთი
ლიბერალური 3

(მაკდერმონი 29, სმიტი 67, ნილი 85)
ბორუსია, მიუნხენგლადბახი 1 (სიმონსენი 50)
ლიბერალური: კლემენსი, ნილი, ჯონსონი, სმიტი, ჰიუზი, კეისი, რ. კენედი, კალაგანი, მაკდერმონი, კიგანი, ჰეივი
ბორუსია: ენაბი, ფოგსონი, კლინგჰამერი, ვიტკამპი, შაფერი, ვოლდერსი (ჰანესი), ვიშერი (კულიკი), შტილიე, ბონჰოფი, სიმონსენი, ჰანესი

1977-78 წ.წ. ჩემპიონთა თასი

უემბლი, ლონდონი, 10.05.78. 92 000
მსაჯი: კორვერი, ჰოლანდია
ლიბერალური 1 (დალგლიში 64)
ბრიუგე 0
ლიბერალური: კლემენსი, ნილი, ტომპსონი, ჰანესი, ჰიუზი, მაკდერმონი, რ. კენედი, სუნესი, კეისი (ჰეივი), ფერულაფი, დალგლიში
ბრიუგე: იენსენი, ბასტინი, კრიგერი, ლივენსი, მაესი (ვოლდერსი), კოლსი, დე-კუბერი, ვანდერვიევი, კუ (სანდერსი), სიმონსენი, სორენსენი

1980-81 წ.წ. ჩემპიონთა თასი

პარკ დე ჰრენი, პარიზი, 27.05.81. 48 000
მსაჯი: პალოტაი, უნგრეთი
ლიბერალური 1 (კენედი 82)
რეალ მადრიდი 0

ლიბერალური: კლემენსი, ნილი, ტომპსონი, ჰანესი, ა. კენედი, ლი, მაკდერმონი, სუნესი, რ. კენედი, დალგლიში (კეისი), ჯონსონი
რეალში: აგუსტინი, კორტესი (პინედა), ნავახასი, საბილო, დელ ბოსკე, ანხელი, კამარო, შტილიე, ხუანტო, სანტილიანა, კანინგემი

1983-84 წ.წ. ჩემპიონთა თასი

სტადიო ოლიმპიკო, რომი, 30.05.84. 64 000
მსაჯი: ფრედრიკსონი, შვედეთი
ლიბერალური 1 (ნილი 13)
რომა 1 (პრეცო 42)
პენალტებით 4:2

ლიბერალური: გრობელარი, ნილი, ლოურენსონი, ჰანესი, ა. კენედი, ჯონსონი (ნიკოლი), ლი, სუნესი, ვილანი, დალგლიში (რობსონი), რამბი
რომა: ტაბურედი, ნაპი, ბონეტი, რიგეტი, ნელა, დი ბარგოლომი, ფალკაო, სერეზო (სტრუკელი), კონტი, პრეცო (კ. იერიკო), გრაციანი

1984-85 წ.წ. ჩემპიონთა თასი

ეიზელი, ბრიუსელი, 29.05.85. 58 000
მსაჯი: დანა, შვეიცარია
იპსენბასი 1 (პლატინი 56)
ლიბერალური 0

იპსენბასი: ტაკონი, ფავერო, კაბრინი, ბრიო, შირეა, ბონინი, პლატინი, ტარდელი, ბრიამი (პრანდელი), ეროსი (ვინოლა), ბონეტი
ლიბერალური: გრობელარი, ნილი, ბეგლინი, ლოურენსონი (გილესპი), ჰანესი, ნიკოლი, დალგლიში, ვილანი, უარკი, რამბი, უოლში (ჯონსონი)

2000-01 წ.წ. უფასო თასი

ვესტაუნგმადიონი, დორტმენდი, 16.05. 70 000

მსაჯი: ვესიე, საფრანგეთი
ლიბერალური 5
(ბაბელი 4, ჯერარდი 16, მაკალისტერი 41, ფალერი 73, კელი 117 ს.კ.)
ალაჰსი 4

(ივან ალონსო 27, ხავი მორენო 48, 51, კრუიფი 89)

ლიბერალური: ვესტერფელდი, ბაბელი, ჰიბია, ენსონი (შმიცერი); კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, მერფი, მაკალისტერი, რუენი ბერგერი, ჰესი (ფალერი)
ალაჰსი: ერერა, კარმონა, ტულიესი, ეგენი (ივან ალონსო), ჯელი, კრუიფი, ტომბიჩი, დესიო, ასტელილი (მაგნო), ხავი მორენო (პაბლო)



დვანან: ბრუს გრობელარი, ალან კენედი, კენი დალგლიში, მარკ ლოურენსონი, ალან ჰანესი, იან რამბი. სხედან: ფილ ნილი, გრემ სუნესი, კრეივ ჯონსტონი, რონი ვილანი

პირტი სურათი ანუ პიროდი ლიპერკულის სემპრეზიდას

3 **თეათი თაილი**

1 ბაბიანი	
2 ბაბიანი ბ.	3 ბიბიანი
4 სინაბაუნი	5 ბიბიანი
6 ბაბიანი	7 ბაბიანი ბ.
8 ბიბიანი	9 ბაბიანი
10 ბიბიანი	11 ბაბიანი

0 **ლიპერკული**

1 კაბიანი	
2 ნილი	3 იბიანი
4 ბოპოსონი	5 კაბიანი ბ.
6 ხანანი	7 ბაბიანი
8 კილი	9 ბიბიანი
10 ბაბიანი	11 სუბიანი

სამატილოს პრეზიდენტი

პირტი კალი

1979 წლის 3 ოქტომბერს, თბილისში თავსება გადაღებას არ აპირებდა, ხოლო ათეულობით ათასი ადამიანი მისთვის ყურადღების მიქცევას. იმ დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე „ლიპერკულს“ უნდა ეთამაშა, სრულიად ლეგენდარულ, სადაც ღრუბლებიდან ჩამოფრენილ გუნდს. ეს, თავისთავად, საკმარისი მიზეზი გახლდათ იმისთვის, რომ ხალხს

ჯიბრიანი წვიმისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ იყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გარემოება — თბილისის „დინამოს“ მოწინააღმდეგის დამარცხება შეეძლო. ამას ჰაერის შესუნთქვისას, სველ ასფალტზე დახედვისას, გამვლელისთვის სივარტის თხონისას, ავტობუსის და ტროლეიბუსის ჩავლისას, ყველაფერს და ყველაფერში იგრძნობდით. იმ დღეს ხალხი უცხოელ ვარსკვლავთა თამაშის სანახავად საფეხბურთო თეატრში არ მიდიოდა. იმ დღეს ჩვენებს ისინი უნდა დაემარცხებინათ.


კენი დაღვლიში და ვიტალი დარასელია



თბილისურმა სამმა გოლმა რეი კლემენსს ხასიათი წაუხდინა



სამატილოს პრეზიდენტი



ნაობაბელოვს ბრემბედას

ვლადიმერ გუცაევიმა ლივერპულის კარში ბურთიც შეაგდო და ლამის ბადეც ჩამოხია

არადა, ვინ იყო მაშინდელი „ლივერპულისთვის“ თბილისის „დინამო“? იმაზე გაცილებით ნაკლები, რაც ახლანდელისთვის პროვინციული ესპანური „ალავესი“. რატომ? თავად განსაჯეთ: ჯერ ერთი, სად ახლანდელი „ლივერპული“ და სად ის. დღევანდელი თექვსმეტწლიანი მივიწყებიდან ამოძრომას მერსესარისხოვანი თასის მოპოვებით ახლავს იწყებს, მაშინდელი კი ჩემპიონთა თასის ზედიზედ ორგზის მფლობელი ზეგუნდი გახლდათ. დაახლოებით იგივე, რაც ჩვენს დროში „ბაიერნი“ ან „რეალი“, ან თუ გნებავთ, რაც ოთხმოციანების ბოლოსა და ოთხმეცამეტეანების დასაწყისში „მილანი“ იყო. მერვეც, ახლანდელმა „ლივერპულმა“ იცოდა, რომ „ალავესი“ ფინალისტია ანუ ბევრი მეტოქის მძლეველი, თბილისის „დინამო“ კი მაშინდელი გათამაშების პირველსავე რაუნდში შეხვდა და ისტორიაში ევროთასების სამეომდომო ეტაპებს ვერ გასცდნოდა. მერედა თავად თბილისი რაღა იყო? დიდი ქვეყნის ერთ-ერთი რესპუბლიკის (ფაქტობრივად პროვინციის) დედაქალაქი. ერთი სიტყვით, იგივე, რაც ვიტორია, ბასკონიის დედაქალაქი, საიდანაც გახლავთ „ალავესი“.

თავსხმა კი არას დაგიდევდათ და თავსხმასაც არ დაგიდევდათ ხალხი, რომელსაც მერე იარუსზე სახურავი ფარავდა, პირველზე კი ცელოფნის გრძელი პარკები, რამდენიმეს რომ სწვდებოდა.

10 გვაწყობს, ჩვენია, ამბობდნენ და ერთმანეთის სადმე ჩასმას ცდილობდნენ. სექტორებს შორის კბეები არ ჩანდა. ოფიციალურად 74 ათასიან „დინამოზე“ 90 ათასი დაეტია.

10 გვაწყობდა, რადგან მანამდე, იქ 12 წავაგეთ. იმ თამაშის ტელეტრანსლაციას ველოდით ცენტრალური (მო-

სკოვის) ტელევიზიის პირველი არხით, მაგრამ ამაოდ გამოგვიცხადეს, რომ ინგლისში ტელემუშაკებს გაფიცვა მოეწყო და რადიოს უნდა დავეჯერებოდით. რადიორეპორტაჟს, ბუნებრივია, კოტე მახარაძე უძღვებოდა, მაგრამ რადიორეპორტაჟი, საზოგადოდ, კომარია. ვერაფერს ხედავ, ყველაფერს გაზვიადებით აღიქვამ, ბუზი სპილოდ გეჩვენება.

თბილისში თავსხმაა, თქეშია. და თბილისში არსებობს სტერეოტიპი, რომ წვიმა ინგლისური ამინდია ანუ წვიმაში, შესაძლოა, „ლივერპულმა“ უკეთ ითამაშოს, „დინამოს“ კი ხელი შეეშალოს.

მაგრამ პირველი ტაიმი 0:0 მთავრდება და ცელოფნის ქვემოდან ამკარად ჩანს, რომ ჩვენები ღრუბლებიდან ჩამოფრენილი ზეგუნდის დამმარცხებლები არიან.

და მართლაც — ყოფიანი საჯარიმოში კარის გასწვრივ აწვდის, გუცაევი არტყამს და... „დინამოს“ მეცხრე ნომერი სიხარულით ბადეზე ჰკიდია.


მერე ისევ — მარცხენა ფრთაზე ჭილია იღებს ბურთს, მთელ მოედანს დრიბლინგით გადის, პასს წინ, შეტევის დასამთავრებლად გამზადებულ შენგელიას აწვდის და... ეს უკვე 2:0-ია, საკმარისზე მეტი. ახლა მთავარია, არ გაგვიტანონ.

და ისევ — გუცაევი მეტოქის საჯარიმოშია, მას მცველი ებრძვის. გარემარბი თეატრალურად ვარდება. პენალტი! ჩივაძე არტყამს... 3:0!

... ვინ იყო „ლივერპულისთვის“ თბილისის „დინამო“? არავინ! მაგრამ, „დინამოს“ იმ თაობამ ორი წლის შემდეგ თასების თასი მოიპოვა.

ახლა ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ „დინამოს“ იმ თაობას მეტი შეეძლო!

კლიერტა ხელობა



სამართვლოს ნაბრების კაპიტანი მწვრთნელების და მწვრთნელობის უმსახე

ნაბა კვანცალიანი

ჩვენში მწვრთნელის მნიშვნელობაზე საუბარი მხოლოდ ერთი, გაცვეთილი ფრაზით შემოიფარგლება — მოგებული თამაში ფეხბურთელის დამსახურებაა, წაგებული — მწვრთნელის შეცდომა. ამ ფრაზაში თავისთავად მნიშვნელოვანი აზრია ჩადებული, ჩვენთან კი ჰაიპარად, სიტყვის მასალად გამოიყენება. რეალურად სულ სხვაგვარადაა საქმე, საქართველოში თამაშებს აგებენ ფეხბურთელები, უუნარიანები, ფეხბურთელთა ახლო-ნათესავები, სასტუმროს დარაჯები... მიზეზთა ჩამონათვალი დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, ოღონდ შემცდართა შორის ვერ ნახავთ მწვრთნელს. თუკი აქა-იქ მოგებული მატჩიც გამოგვეჩვენა, აი, მაშინ დგება მწვრთნელთა თმახიანი ფრაზების დრო.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ჩვენში ნებისმიერი დონის მწვრთნელობა სარეზერვო ხელობადაა ქცეული. თუკი არ გაგიმართლებთ ბიზნესში, პოლიტიკაში, ნებისმიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში, უმუშევარი მაინც არ დარჩებით. ბავშვობაში ხომ ბურთი ვიგორებით, მინიმუმ სამი მსოფლიოს ჩემპიონატი გინახავთ ტელევიზიით, გსმენიათ ფიგუს, რაულის, ზიდანის შესახებ, იცით ტრანსფერებით მოგებული მილიონების არაერთი მაგალითი. ჰოდა, საქმეს რა უდგას წინ? არაფერი. დასაწყისისთვის ეზოს პატარა მოედანიც კმარა, ოციოდე ყმაწვილი, ბურთი და მისი ჯანი. ისე როგორ დაეცემით და მინიმუმ „ერზერუმსფორში“ ვერ გაყიდით ფეხბურთელს, თუ არა და რუსეთიც აქვე არ არის. ღირს საქმე ხელის მოიდებად... ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, მკვეთრად შეინიშნება ჩვენში. ეს კი არაა „ზრდასრული“, „ჩამოყალიბებული“ მწვრთნელებიც ფეხბურთელთა ტრანსფერებზე არიან ორიენტირებულნი და უმთავრესი საქმე გვერდით რჩებათ. მწვრთნელთან ყველაზე ახლოს კი ფეხბურთელია და, ამიტომ, ვფიქრობთ ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს იმის გაგება, თუ როგორია ფეხბურთელის თვალთ დანახული იდეალური მწვრთნელი, რა ფუნქციები აკისრია მას, რა მნიშვნელობა აქვს გუნდისთვის და საერთოდ ვინ არის მწვრთნელი. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტან ვიორგი ნემსაძისთვის ჩამორთმეული ეს ინტერვიუც მიზნად ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს.

— გამოვიტყდებით, ბავშვობაში ფეხბურთი მხოლოდ ბურთი და თერთმეტი კაცი მეგონა. ასე ვფიქრობდი მანამდე, სანამ სერიოზულად გადავწყვეტიდი, რომ ფეხბურთის მიეყოლოდი — ამბობს კაპიტანი.

— როგორ ფიქრობთ, რა ასაკიდან სჭირდება მწვრთნელი ფეხბურთელს?

— ჩემი აზრით 12-13 წლიდან. ელემენტარულად აუცილებელია მის გარკვეულ რეჟიმში მოქცევა, თუნდაც ვარჯიშის აუცილებლობის ასხნა, ყოველდღიური დაკვირვება, კონტროლი. თუმცა, იმასაც ვფიქრობ, რომ ბავშვს კოორდინატორი შესაძლოა მანამდეც სჭირდებოდეს. ასეთი პიროვნება ერთობ მნიშვნელოვანია. ჩემს მაგალითზე გეტყვით. უმრავლესობის მსგავსად ქუჩაში დავიწყე ბურთის უბრუნება. ეზო-ეზოს ვხვდებოდი, უბანი უბანს. ორი მეზობელი მუყაოსგან თასებს გვიძხადებდა, ხან ლიონათი იყო პრიზი, ხან ნამცხვარი. ამით სტიმულს გვაძლევდნენ, ვვრდებოდი, რომ შემფასებელი მყავდა და ამის გამო უფრო მონდომებული ვიყავი. ამ ფაქტორმა რაღაცნაირად დამკვირვებლის თვალწინ თამაშს შემაჩვია და მერე საფეხბურთო სკოლაში მისვლისას უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობა მქონდა მწვრთნელთან.

— მწვრთნელს და ფეხბურთელს შორის რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს კონფლიქტი?

— მოზარდებშიც და ზრდასრულ ფეხბურთელებშიც მიზეზი ერთია — ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვედრა.

— თქვენ თუ გქონიათ ასეთი შემთხვევა?

— ადრეულ ასაკში თითქმის არა. მამაჩემის შესახებ, ალბათ ბევრს გსმენიათ, სულ კულში დამსდევდა, თამაშზე რა ვთქვა, ვარჯიშსაც არ აცდენდა, თითოეულ ჩემს მოძრაობას თუ პასს რეაგირების გარეშე არ ტოვებდა. აი, მასთან მქონდა კონფლიქტი თუ მქონდა, თორემ მწვრთნელთან...

დილობაში ერთი-ორჯერ, მწვრთნელს საქართველოს ჩემპიონატში თამაშისას დავირისპირებოვარ. უცხოეთში გადასვლის მერე კი ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ.

— ალბათ, დამეთანხმებით, ასეთი კონფლიქტის მოგვარება უპირველესად მწვრთნელის საზრუნავია...

— რა თქმა უნდა. დღევანდელი ჩემი კლუბის — „დანდის“ მაგალითზე გეტყვით. ივანო ბონეტის ხშირად გადუღვამს პირველი ნაბიჯი მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტის მიზეზი ფეხბურთელი ყოფილა.

— რა როლს თამაშობს მწვრთნელი გუნდში?

— მისი მნიშვნელობა უდიდესი და უმთავრესია. მწვრთნელი გემის კაპიტანივითაა, უნდა ჩაძირავს, უნდა სამშვიდობოს გაიყვანს გუნდს. მწვრთნელის გარეშე წარმოდგენილია გუნდმა რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს. ცხადია, ბევრი რამ შემსრულებელზეცაა დამოკიდებული, მაგრამ განა ცოტა მაგალითი გვაქვს იმის, რომ რიგითი, ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელები გონიერმა, განსწავლულმა მწვრთნელმა ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია? რაღა შორს წავიდეთ, ლობანოვსკის, ამ ბუმბერაზი მწვრთნელის მაგალითი გავიხსენოთ. ვინ იცნობდა შეჭენკოს, რებროვს, კალაძეს, ცუსინს... ლობანოვსკიმ გაზარდა ისინი პროფესიონალებად, ლობანოვსკიმ გახადა ისინი ვარსკვლავებად, ბო-

ლოსდაბოლოს ელემენტარულად სწორი ფეხბურთის თამაში ასწავლა. სხვისი არ ვიცი და მე საქმის კეთებისთვის მცოდნე მწვრთნელი და ჩვეულებრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი მირჩენია, ვარსკვლავებით გაჭედო, მაგრამ უთავო გუნდს.

— მოდი, კონკრეტულად ვისაუბროთ. რას აკეთებს ივანო ბონეტი „დანდისში“. ვთქვათ, როგორ გამზადებთ მატჩისთვის?

— ბონეტი ჩვეულებრივი ევროპელი მწვრთნელია და ბევრი თავისი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ევროპელი კოლეგის მსგავსად ერთ, უმთავრეს პირობას აკმაყოფილებს — პროფესიონალია. რაში გამოიხატება ეს... პირველი და უმთავრესი — „დანდისში“ მწვრთნელს თავისი ადგილი აქვს. ბონეტი ყველაზე ზევით დგას, უპირობო ლიდერია და ამას თავისი პიროვნული თუ პროფესიული თვისებების წყალობით აღწევს. მასსოვს, „დანდისში“ გადმოსული ვარსკვლავი კლაუდიო კანიჯა, რომელსაც რა გასაკვირია და ყინად ეჭირა თავი, ერთ კვირაში „თავის ადგილზე“ დასვა და ეს ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე მოხდა — მწვრთნელმა ფეხბურთელს უბრალოდ გააგებინა, რომ აკეთებდა იმას, რაც აუცილებელი იყო გუნდის ინტერესებისთვის. ეს არის მნიშვნელოვანი: ბონეტი პირველობას „იჭერს“ ისე, რომ ამას ჩვენთან,

ფეხბურთელებთან ურთიერთობაში გართულება არ სდევს, ანუ შეკრული, მეგობრული გუნდი ვართ — საქმის კეთებისთვის ეს ფაქტორი უმთავრესია.

რაც შეეხება კონკრეტული მატჩისთვის მზადებას და ზოგადად ვარჯიშების პროცესს: ბონეტი ამას დიდ დროს უთმობს და უმთავრეს აქცენტს აკეთებს გუნდის ტაქტიკურად განსწავლაზე. ეს თვისება ახასიათებს ევროპულ მწვრთნელთა უმრავლესობას. ასე იყო „გრასჰოპორშიც“, „ტრამპონსფორშიც“ და „რეჯანაშიც“.

ვარჯიშის მერე ბონეტი თითქმის ორ საათს უთმობს სტრატეგიის დამუშავებას. სიტყვებით ცოტა მიჭირს ამის გადმოცემა, რადგან საამისოდ უამრავი დიაგრამაა საჭირო, მაგრამ მოკლედ გეტყვით. ვარჩევთ მომავალი მეტოქის თამაშს, მწვრთნელი მიგვითითებს იმ გუნდის ხარვეზებზე, ვაქმუშავებთ რამდენიმე ვარიანტს, თუ რა სისტემით უნდა ვითამაშოთ, რა დროს, რა მხრიდან და როგორი ინტენსივობით შევუტით. ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ უნდა გავათამაშოთ ჯარიმა, როგორ ჩავაწოდოთ კუთხური (ოცდაათამდე მდგომარეობა გვაქვს დამუშავებული), რანაირად შევიტანოთ ბურთი თამაშში აუტიდან, სხვადასხვა სიტუაციაში როგორ უნდა ვიყოთ განლაგებული ამ დროს. იმაზე ლაპარაკი ზედმეტია, რომ მატჩის განმავლობაში რამდენჯერმე მივმართავთ ტაქტიკურ გადაადგილებას, რაც

საქართველო — იტალია. გიორგი ნემსაძე და პაოლო მალდინი



ბადრი კაშიანი



საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე (მარჯვნივ) მწვრთნელობაზე ფიქრობს

იმაზე და მოკიდებული, თუ რა სისტემით გვეთამაშება მოწინააღმდეგე და უმთავრესი, ჩვენ მოედანზე გასვლის წინ ზედმიწევნით ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ, რას მოითხოვს ჩვენგან მწვრთნელი.

— საქართველოში რა ხდება ამ მხრივ?

— ევროპასთან შედარებაც არ შეიძლება. აქ სრული ქაოსია. ეს იმიტოცა განპირობებული, რომ მწვრთნელს ელემენტარულად განათლების მიღების საშუალება არა აქვს. საჭიროა ინტენსიური სწავლება უცხოეთში...

— ჩვენი მწვრთნელების უმრავლესობამ უცხო ენა არ იცის...

— თქვენ რა გგონიათ, იგივე პრობლემა უცხოეთში არ არის? ვთქვით, ფრანგი რომ მიდის იტალიაში, ან ესპანელი გერმანიაში... მაგრამ, ასეთ დროს ელემენტარულად ხდება მათთვის თარჯიმნის დაქირავება. ხარჯი ზედმეტია, მაგრამ დამკვეთს უღირს. ასე რომ, ბევრი რამ ფინანსებზეა დამოკიდებული. მწვრთნელობა სოლიდური პროფესიაა და მის შესწავლას დრო და ფული სჭირდება.


— ჩვენი მწვრთნელებს ბევრჯერ დაუწივლიათ, რომ მოთამაშე ვერ ასრულებს მის დავალებას...

— აბსურდია ამის თქმა. ისევ „დანდის“ მაგალითზე გეტყვი. ერთი შეხედვით თითქოს მცირე ნიუნსია იმის ცოდნა, თუ რომელ ადგილზე იმყოფება შენი მეტოქე, რა სისტემით თამაშობს სწორად, რამდენი გოლი გააქვს სტუმრად, შინ, რომელ რგოლში უფრო უჭირს თამაში. შოტლანდიაში ჩასვლისას ბონეტი მეც და სხვასაც გვთხოვდა, იმის დამახსოვრებას, რომ, ვთქვით „მოზერველს“ ბოლო სამი წლის განმავლობაში შინ 18 ქულაზე მეტი არ აუღია. ვფიქრობდი, რომ უაზრობა იყო ამის მოს-

მენა. ბონეტი მატყობდა ამას, და ერთი და იგივეს მიმეორებდა ათჯერ, ასჯერ... იბულებული გამხადა, მისი ნათქვამი თავში ჩამეჭვდა ყოველგვარი ჩხუბის და აყალმაყალის გარეშე. ამით იმის თქმა მინდა, რომ მწვრთნელს თუკი უნდა, ნათქვამს ფეხბურთელამდე მიიტანს. ასეთ დროს სწორად ინდივიდუალური მიდგომაც კრის.

— ყველაზე მეტად მწვრთნელში რა თვისებას აფასებთ?

— ბევრი რამაა დასაფასებელი, მაგრამ უმთავრესი მაინც ნებისყოფა და პრინციპია. პრინციპული თუ არ ხარ, ამ საქმეში წარმატების მოპოვება ძეღლია.



— ვთქვით, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გუნდს უნიჭიერებსა, მაგრამ უპრინციპო მწვრთნელმა?

— შენი მოსაზრება თუ ვერ გაიგან, რა აზრი აქვს მწვრთნელობას. უნებურად შენი თავის, შენი იდეების მტერი ხდები და გუნდის, გულშემატყვივის ინტერესებს როგორღა დაიცავ? სჯობს ნაკლებ განსწავლული, მაგრამ პრინციპული იყოს მწვრთნელი და ამ თვისებით პროფესიულ დონეს დროთა განმავლობაში მაინც აიმაღლებს. ვიცი, რომ ბევრ ფეხბურთელს, ლოიალური, დამყოლი ხასიათის მწვრთნელი ურჩევნია, მაგრამ გარწმუნებთ; ასეთ ვითარებაში წარმატებაზე ფიქრი არარეალურია.

— თქვენ თუ გგონიათ საქმე უპრინციპო მწვრთნელებთან?

— ჩემს კარიერაში მართლაც ყოფილან მწვრთნელები, რომლებიც ხასიათით მოისუსტებდნენ და ამას გუნდისთვის უდიდეს ზიანი მოჰყოლია, თუმც არ მსურს კონკრეტული მაგალითის მოყვანა. ისე კი თავადაც მიხვდებით, ასეთი სიტუაცია საქართველოში ყოფილა.

— ფეხბურთში მწვრთნელის როლზე საფუძვლიანად საუბრობთ... ჩანს ნაფიქრი გაქვთ ფეხბურთელობის შემდგომ კარიერაზე.

— არ არსებობს ფეხბურთელი, მეტად თუ ნაკლებად ამაზე არ ეფიქროს. გამონაკლისი არც მე ვარ. არის მწვრთნელობაში რაღაც ხიბლი, რადგან ეს ხელობა პროფესიის სიძლიერეს უკავშირდება და შესაძლოა ოდესღაც მეც გავხდე მწვრთნელი, მაგრამ გაუმართლებლად მიმჩნია კარიერის დასრულებისთანავე ამ საქმიანობისთვის ხელის მოკიდება. მწვრთნელად ჩამოყალიბებამდე დიდი გზაა გასავლელი და თუკი გადავწყვეტ, შევუღლები კიდევ ამ გზას.

ეფე: ღაპიღინჟოტ ყველაფერი, მოვიგოტ ჩეპიონთა ლიგა



გაბრქელეზა

*ოლივერ კანმა
„ფალუნსია“ მატჩის
დაწყებამდე დაამარცხა.
ჩემპიონთა ლიგა
მსოფლიოს ჩემპიონატზე
პრესტიჟული ტურნირია.
ჩემმა ცოლმა პირველად
იტირა.*

ჰანო ოქროპირიქა ბარლინიდან

მილანი – ქალაქი, სადაც ხვალ ჩემი ყველაზე დიდი ოცნება უნდა ასრულდეს – როცა ჩვენი თვითმფრინავი სამშაბათს, 22 მაისს იტალიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის აეროპორტში დაეშვა, პირველად სწორედ ეს გავიფიქრე. მშვენიერ ხასიათზე ვიყავი, მით უმეტეს მეუღლეს გვერდით მყავდა. მარტინა ყოველთვის ჩემს გვერდითაა, როცა მჭირდება. ეს ძალას და სტიმულს მაძლევს. იგი ჩემი სიყვარულია, ჩვენი ბავშვების ჩინებული დედაა, და... უღი ჰიონესიც დაგეთანხმებათ, ბრწყინვალე მენეჯერია.

ჩემს ყოველ წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს, პირველიც იგი მილოცავს ხოლმე წარმატებას, ამას გრიბუნედან ეოცნით აეთებს. ასე იყო 1995 წელს, როცა მიონხენგლადბახში გერმანიის თასი მოვიგე, ასე იყო შარშან და შარშანწინ, როცა „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონობა მოვიპოვე. მხოლოდ წელს არ იყო ჰამბურგში. გამგზავრების წინ მითხრა, ბავშვების მარტო დატოვება არ მიინდა, უჩემოდ წადი და სინი ჩამოგვიტანეო. მეც დავპირდი და შევესრულე. ჰამბურგიდან ჩამოფრენილი სახლში რომ მივედი, უარი გაალო, თვალცრემლიანი იდგა. „შტეფან, რაც ფეხბურთელი ხარ, პირველად ვიტყვი. ეს სიხარულის ცრემლები იყო, რადგან შენ ეს მაინც შეძელი“ – მიპასუხა და მაყოცა. მარტინას ბავშვებთან ერთად უნახავს თამაში. ჩვენი 11 წლის ბიჭი ეტიენ-ნოელი თურმე ტელევიზორის წინ დამდგარა და „ჩემპიონი ყოველთვის „ბაიერი“ იქნე-



REUTERS

ბაო" უმღერია, ოთხი წლის ანა-კატრინივ აწყობდა მას, თუმცა რატომ მღეროდა, ეს კი ვერ გავიგია. ეტიენ-ნოელი მერე უბოში გავარდნილა და ფეხბურთი უთამაშია, ეფენბერგი ვარო, ყვიროდა თურმე. რალა დავიმალეთ და იგი ნამდვილი ეფენბერგია, ახლა „ბაიერნის“ ბავშვთა გუნდშია და მისი დიდი იმედი მაქვს.

მილანში გამგზავრების წინ ოჯახში ყველამ ერთად ვისაუბრეთ. „სინი უკვე ვაჩუქე, ახლა ჩემპიონთა თასი უნდა მივართვა“ – ვფიქრობდი ჩემთვის მარტინაზე. უცებ თავში ერთმა უახრო კითხვამ გამიელტვა, „ეფე“ ჩემპიონთა თასსა და მარტინას შორის რომ მოგიხდეს არჩევანის გაკეთება, რომელს აირჩევ? პასუხი ნათელი იყო – მსოფლიოში არსებული არცერთი ტიტული, ვერანაირი ტრიუმფი და ვერანაირი გოლი ვერ შეცვლის იმ გრძნობას, რაც მარტინასთან და ჩემს ოჯახთან მაყავშირებს. ისინი მე იმ ძალას მაძლევენ, რომლითაც მინდორზე გამოვიჩინე. ისე კი, ოჯახი ოჯახია და სპორტი სპორტი. ფეხბურთში ყველაზე დიდი მიღწევა ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. როცა უფრო „ბაიერნში“ თამაშობს, ნორმალური ამბავია, რომ ხუთ წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ ხდება ჩემპიონი. პირველად სინი რომ მოვიგე, სახლში წავიღე და ღამე ღოგინთან დავიდე, რთუელს კი ახალგაზრდებს ვუთხარი, აგერ სინი, აიღეთ და გაიხარეთ. ჩემპიონთა ლიგა კი სულ სხვაა. ჩემთვის მას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატს. დღეს ფეხბურთელთა ფასს სწორედ საკლებო ფეხბურთი განსაზღვრავს. სემი ჟუფურში „ბარსელონა“ 30 მილიონ მარკას იხდის, როგორ გგონიათ, რატომ? განის ნაყრებში მისი თამაშის გამო?

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები რივალდო, რობერტო კარლოსი, ზიტანი, ფიგუ და სხვები სწორედ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ, ვისაც ამ თასის მოგება სურს, გზიდან სწორედ ისინი უნდა ჩამოიშოროს. თანაც ადრე უფრო ადვილი იყო ამის გაკეთება, სეზონში ცხრა მატჩი უნდა ჩაგეტარებინა, ახლა კი... „ვალენსიასთან“ მეჩვიდმეტე შეხვედრა გველის.

საერთოდ, ფინალში რომ გავიდოდით, თითქმის ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. უჭკი მხოლოდ ერთხელ შემეპარა, როცა ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირისას ლიონში 0:3 დავმარცხდი. მაშინ ელუბის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ძალიან გაბრაზდა და პრესაში ისეთი რდაცებები თქვა,

რაც არ უნდა ეთქვა. ამისთვის ჩემგან პასუხიც მიიღო. ამას არავინ ელოდა, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ვინმე ოდესმე „უაიზერ ფრანცის“ წინააღმდეგ გაილაშქრებდა, მაგრამ ჩემთვის შიში უცხოა, ამიტომაც იგი პრესკონფერენციაზე გავაკრიტიკე. ეს კინალამ გუნდის დატოვებად დამიხდა.

მაშინ პირველად დავინახე, რომ ბიჭები ცოტა გატეხილი იყვნენ. ამიტომაც, მე და ოლი უანმა გუნდის ურება მოვანყეთ. ეს სრულიად საიდუმლოდ მოხდა, არც მწვრთნელმა იცოდა ამის შესახებ, არც პრეზიდენტმა და არც მენეჯერმა. თანაგუნდელები დავამშვიდეთ, ვუთხარი დავეინყებინათ ყველა და ყველაფერი, მათ შორის ბეკენბაუერიც. ჩვენ მაშინ გარკვეული მიზნები დავისახეთ და ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ ამ მიზნების მისაღწევად ყველაფერს გავიღებდით. იმ ურების მერე, ლიგაში „ვალენსიამდე“ ყველა თამაში მოვიგეთ.

ოთხშაბათი, ფინალის დღეც გათენდა, შინაგანმა ზარმა დილით რვის ნახევარზე გამაღვიძა. როცა აღამიანს შინ სამი ბავშვი ჰყავს, ადგომაც ადრე უნევს. ღამე ღრმა ძილით მეძინა, საერთოდ არ მიოცნებია, არც რაიმე სიზმარი მიხანავს. დილით რომ ავდექი, ვგრძნობ რომ მხალ ვარ; მხალ ვარ მინდორზე გავიდე, ვიომო. 9 საათზე მსუბუქად ვისაუბრეთ, ჯემი, ხილი, სულ ეს იყო. შემდეგ „ვალენსიას“ თამაშის ვიდეოფირს ვუყურეთ, ვიგოლთ, ესპანელები ჩვენთან სულ სხვა ტაქტიკით ითამაშებდნენ, მაგრამ მაინც. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საჭირო იყო. პირველ საათზე წავისადილეთ, შემდეგ ერთი საათი გვეძინა. ოთახში ბავშვების სურათ-



REUTERS

ბიც დავათვალიერე ამასობაში კი „ჯუზეპე მეაცაზე“ წასვლის დროც დადგა.

როგორც წესი, „ბაიერნი“ მატჩის დაწყებამდე ზუსტად ერთი საათით ადრე შედის გასახდელში. ჩვენი ავტობუსის მძღოლმა უარგად იცის ეს და სასტუმროდან გასვლის დროსაც ამის მიხედვით ადგენს. ავტობუსში როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჯოვანი ულბერის გვერდით დავჯექი. მთელი გზა მომავალ თამაშზე ვსაუბრობდით.


გასახდელში ყველაფერი გამზადებული გვხვდება. ერთ-ერთ საკილზე 11-ნომრიანი მაისურა შევამჩნიე, ცხადია, ჩემი ადგილიც იქაა. გვერდით ვიმპედი კილია, რომელიც „ვალენსიას“ კაპიტანს უნდა გადავცე.

ჩაცმისას ჩემი წესები მაქვს. პირველ რიგში შორტს ვიცმევ, შემდეგ მარცხენა ფეხზე წვივსაფარს, ვამაშსა და ბუცს. მერე იგივეს მარჯვენა ფეხზე ვიმეორებ. ამის შემდეგ კი მაისურას ვიცვამ. ამ მიმდევრობას ყოველთვის ვიცავ-ხოლმე. ბოლო სტადია ცხადია, ჯაპიტანის სამეტაფურის გაყეთებაა. თეთრ სამეტაფურს მარცხენა ხელზე ვიხვევ. გასახდელიდან გასვლის დროც მოდის, „ჯუზეპე მეაცაზე“ სტადიონს ჯერ კიდევ „ფიორენტინაში“ თამაშიდან ვიცნობ, გასახდელიდან რომ გადიხარ, სანამ მინდორზე გააღწევ დიდი ფსიქოლოგიური ომი გაქვს გადასატანი. ის ომი თუ წააგე, ჩათვალე თამაშიც წაგებულა. ბიჭები კიდევ ერთხელ გავამხნევე და გავკლდით.

ვატემათელებს ხელის ჩამორთმევისას დაჟინებით და დრამად ჩაკვურებ თვალბუბი. ზოგმა ჩემს მხურას გაუძლო, ზოგმა კი პირველი მარცხიც იწვნია – თვალი ამარიდა.

ვგრძნობ, მუცამყება ამ „ბაიერნის“ ჯაპიტანობა, თანაგუნდელებს რომ ვუყურებ ვრწმუნდები დღეს თასს აღუშრთავ. გუნდური ფოტოს გადაღებისას ტრიბუნაზე მარტინას ვეძებ, თუმცა იქ ისეთი ამბავია, მისი დანახვა შეუძლებელია. მართალია, თავიდან თვალი ვერ შევაკლე, მაგრამ ვგრძნობდი, იგი ჩემს გვერდით იყო, ბოლოს როგორც იქნა, დავინახე, მე-12 რიგში იჯდა და ისიც მე მიყურებდა.

თამაშის დაწყებამდე ცვლილობით, მეტოქე ფსიქოლოგიურად გავტახოთ, უანი „ვალენსიას“ თავდასხმელებს ესაუბრება, თავის თავდაჯერებულობას აჩვენებს. ოღის რომ შევხედე, მივხვდი, რომ მას მეტოქის ფორმირლებთან უკვე უპირატელობა ჰქონდა. ყოჩად ოლი, შევაქე მეჯერ გულში. მიყვარს ჯანისნაირი ტიპის ფეხბურთელები. ასევე მიყვარს ის მოთამაშეები, რომლებიც შეიძლება უხეზად, მაგრამ სამართ-



REUTERS

შტეფან ეფენბერგმა დევიდ ბექემს ხელი არ გააჭყლიდა.

ლიანი პრინციპებით თამაშობენ. მაგალითად, როი ჯინი. აი, დევიდ ბექემზე კი იგივეს ვერ ვიტყვი. იგი ისეთ რადიკალებს აყებებს, რასაც პროფესიონალი არასოდეს გააყებებს. რატომ არ ჩამოვართვი ხელი მანჩესტერში, როცა უხეზად ნამაქვია? იმიტომ რომ ვიცოდი, ის ბოლიში გულიდან არ მოდიოდა, მას შეეშინდა მსაჯს ნითელი ბართი არ უჩვენებინა და ამიტომ გამომინოდა ხელი, ვითომცდა მებოდიშებოდა. ის ბოლიში ღირსებიდან კი არ მოდიოდა, არამედ შიშიდან. იმ თამაშის მოგების მერე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ წინ ფინალი გველოდა. მე რომ ფინალში რაიმე მიხუზით, ვთქვათ დისკვალიფიკაციის გამო ვერ მეთამაშა, ახლა ალბათ ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. მდრილიში მიღებული ყვითელი ბართის გამო, ბევრს საუბრობდნენ, თითქოს ყველაფერი ძალით გავაქეთეთ, რათა ფინალში მეთამაშა. გეტყვით, შეგნებულად არ მიუხეზია, მაგრამ გაფრთხილება გამიხარდა, რადგან ვიცოდი, ბიჭები ფინალში გასვლის ამ მჯნს არ დაჯარგავდნენ.

და აი, ფინალის წინ ვიდექი, არ შეიძლებოდა იქ არ მეთამაშა; რა-


დგან მსურდა გადამწყვეტ მატჩში მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ამელო. როცა არ გეცოდინებათ, ვის გადაანოლოთ ბურთი, შე მომძებნეთ. იცოდეთ, მე ყოველთვის თქვენს სიახლოვეს ვიქნები – ვუბნებოდი თამაშის წინ ბიჭებს.

ვინც ფიქრობს, რომ „მანჩესტერისა“ და „რეალის“ შემდეგ ვალენსიასთან ილით გასეირნებს ველოდით, ძალიან ცდება. „ვალენსია“ მეორედ გავიდა ფინალში და ეს უკვე ძალთან ბევრს ნიშნავდა. ეს გუნდი სხვებზე საშიშიც იყო, რადგან აქ ერთი გამორჩეული ფეხბურთელი არ არის, ყველაზე თვალი უნდა გვჭეროდა, სულ ფიხილად უნდა ყყოფილიყავით.

ერთადერთი რაზეც ვალენსიასთან არ ვფიქრობდით, პრემია იყო. ვერანაირი პრემია ვერ გაცნობიდა ლიგის მოგებით გამორჩეულ სიხარულს. ეტუბის ხელმძღვანელობასთან არც შეხვედრა მოგვიწყვია რაიმე თანხის მოთხოვნის მიზნით. ისედაც ვიცოდით, გამარჯვებას „ჯაიზერ ფინანცი“ საჯარისად დავგიფასებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომარში

სპადასხვა



REUTERS

წლევეანდელი „როლან გაროსის“ გამარჯვებულები: ჯენიფერ კაპრიატი და პიტ სამპრასი



თიხიდან ბალახზე

ჩოგბურთეალებმა კონტინენტურ თიხაზე თამაში დაასრულეს და ჟენიფერის ბალახს მიამბურეს. ეს ნიშნავს, რომ წლევეანდელი „როლან გაროსი“ მორჩა, უიმბლდონი კი დაიწყო. „ოლ ინგლენდ ჟლაბის“ ბატალიებს ადგილი მომდევნო ნომერში დაეთმო, ახლა კი ამბავი იმაზე, რომ ბაცაცები და ნარკომანებიც ხანდახან ვარსკვლავები ხდებიან.

ჯენიფერ კაპრიატის სწორედ რომ ვარსკვლავობას უქადდნენ, რადგან ჯერ თითქმის ბავშვი იყო და ბობოლათა ნერვებს კი უკვე წენავდა, მაგრამ დიდობაში შებიჯებისთანავე ცხოვრება აერია თუ აირია და სულ უფრო ხატავდნენ პრესის მოწინავე გვერდებზე არა როგორც მისაბად მაგალითს. ისე ჩანდა, ვითომ კაპრიატიმ ერთი გამოანათა და გაუჩინარდა, მაგრამ თურმე შეიძლება უსწორო გზიდან დროულად უაუქცევა და

ბოლო წელია, ამერიკელი მეორედ მოდის „ავსტრალიის ღია პირველობას“ აგერ, „როლან გაროსაც“ მიაყოლა და დიდი სტუმის ნახევარი ჩაბლუჯა. კაპრიატიმ წააქცია ახალი თაობის ორიოდ რჩეულიც და მათგან ნახევარფინალში თვით მარტინა ჰინგისი, რომელიც ჯერ კიდევ პლანეტის პირველი ჩოგანია და, ალბათ, მალე აღარ იქნება. ფინალი კაპრიატიმ ზუსტად 18 წლის კიმ კლაისტერსს მოუგო. ჯანიანი ბელგიელი სრულად დაიხარჯა, „როლან გაროსის“ ტრიბუნებიდან ბელგიის სამეფო ოჯახი და მთავრობაც ქომავობდა, მაგრამ ის დღე კაპრიატისა იყო.

ხოლო ვაჟთაგან გუსტავო ჟუერტენის გამარჯვება ბევრად იოლი განსაჭვრეტი გახლდათ. გეგამ პარიზში მესამე ტრიუმფი მოიწყო.

პირველად, რაც არის, თორემ მიჩვეულზე უდიდესი გამარჯვებებიც ნელ-ნელა უფერულდება. როცა გვარიანი ჰაუზის შემდეგ, მარშან „ლოს ანჯელეს ლიეიერსი“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა, ანგელოზთა ქალაქი ნაოხარი აღგოვდა; გახარებულ ხელთაგანთა ხელით იღუნებოდა მღაზიათა ვიტრინები, იმსხვრეოდა მანქანები, ბრიალებდა ხანძარი, ხოლო პოლიციას არაერთი რეზინის ტყვიის გასროლა მოუხდა. და რა ცოცხა ჩანს ამასთან ერთი მსუბუქად დაშავებული, რომელიც „ლიეიერსის“ წლევანდელ გაჩემპიონებს „ემსხვერუშა“. ეს იმიტომ, რომ კალიფორნიელებს სწამდათ თავის ბიჭების, მარშანდელზე ბევრად ნაკლებს ღელავდნენ და ბევრად მეტი ჰამბურგერის საჭმელად იცდიდნენ თამაშების დროს, რადგან „ლიეიერსი“ დამაჯერებლად თელავდა გზაზე შეყრილ ყველა დაბრკოლებას. გიგანტი შაქლი ონილის სიმძიმისგან ემხოზოდნენ დაცვითი თამაშის თვით ისეი ასებიც, როგორც ფილადელფიელი დიკემბე მეტომბო გახლავთ, კობი ბრაიანტი შორიდან ყრიდა და ყრიდა და გადამწყვეტ მომენტებში სხვა ლიეიერსელებმაც ხმამაღალი სიტყვა თქვეს, ეს ყველაფერი კი სახელოვანი ფილ ჯეისონის დამსახურება გახლავთ. ფეხბურთელზე ბევრად აღმატებული ინდივიდუალიზმის მიუხედავად კალათბურთიც გუნდური თამაშია და შეიძლება ყოველ მატჩში კრახანასავით დაქროდეს ალენ აივერსონი, ავდებდეს ყოველი პოზიციიდან, აკეთებდეს საშუალოდ 40 ქულაზე მეტს, მაგრამ მისი „ფილადელფია სიქსერზი“ ყოველთვის წააგებს ფინალს „ლიე-

ისევ შაქი და კომპანია




REUTERS

შაქილ ონილმა ცეკვა-თამაშისთვის მოიგალა

ერსთან“, რადგან არსებობს არაერთობის ძალის შესახებ, ერთობას კი გუნდში მწვრთნელი ქმნის. ფილ ჯეისონს ეს საქმე ნებისმიერ ყოველგვარ უკეთ ხეობება, ნა უკეთ მუშაობა და მისი „ლიეიერსისგან“ ფინალში „ფილადელფიის“ 4:1 გაბითურებაც ლოგიკური იყო.

ეშმაკთა დასჯება



REUTERS

ბებერ რეი ბურკზე სტენლის თასი ალალია

მისისიპს გაღმა, უნაყოფო კლდოვან მთებში ყვავის ქალაქი დენვერი, რომელშიც სამიოდ ჯიორის წინ გამოღმული ეშმაკები ყვანჯიანი ჰოუისის სათამაშოდ ჩავიდნენ: „ნიუ ჯერსი დევილსი“ „კოლორადო ეველანგის“ სტენლის თასისთვის მეშვიდე და გადამწყვეტ ბრძოლას უმართავდა. მთელი სეზონის მანძილზე აწყვეტილ ეშმაკებს ფინალშიც ფავორიტებად თვლიდნენ, იმიტომ, რომ მთელ წელში ყველაზე ლამაზად და აზრიანად თამაშობდნენ; იმიტომ, რომ ახალგაზრდები იყვნენ და სეზონის ბოლოს 40 წლის რეი ბურკზე მეტი ძალა უნდა შეჩვენოდათ; იმიტომ, რომ მაინცდამაინც პლეი ოფში ულენთა გაუსკდა „ეველანგის“ მთავარ მეზარზანეს, პეტერ ფორსბერგს და ასე შემდეგ, მაგრამ სტენლის თასი მაინც რეი ბურკმა ასწია და აქაც რამდენიმე „იმიტომ“ გახლავთ. პირველი და უმთავრესი ესაა: „კოლორადოს“ უფრო სურდა გამარჯვება. თითქმის მეოთხედი საუკუნე განა იმისთვის სცემდა შაიბას რეი ბურკი, რომ უტიტულოდ გასუთიყო ჰენსიაზე? ან ჯო საკიეი როგორ დაუშვებდა ეთქვათ, არამია მასზე წმლის უძვირფასესი მოთამაშის წოდებაო?

„ეველანგის“ ჯარშიც ხომ ვილაც კი არა, თვით პატრიკ რუა იდგა და კოლორადოელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. იგრძნობოდა მათი უპირატესობა ელასში, პლეი ოფის ყველა თამაში ორ გოლზე არანაკლები სხვაობით მოიგეს, მათგან ორი, 5:0 და 4:0, როცა ეშმაკებს მოგებათა მეტი წილი მინიმალური სხვაობით ერგოთ და ყოველ თამაშში გატანილზე 5-ჯერ მეტი მომენტი გაფლანგეს. ბოლო თამაშში კოლორადომ შეაგდო ერთი, მეორე, მესამე და გამოჩნდა, რომ „ნიუ ჯერსის“ პასუხი არ ჰქონდა. 5 წლის შემდეგ ცხელი მტატის სიჭიბე კვლავ ყინულის მწვერულზე არიან.

ფრანგული ბაზრძელეზა



REUTERS

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობას კონფედერაციათა თასიც დაუმატა

აღწევადრადიანთა თასზე ამბობენ, სავარჯიშო ტურნირზე ბევრით მეტი არ არისო და იქნებ ასეც იყოს, რადგან წლეულს უორეასა და იაპონიაში საფრანგეთის ნაკრების ნახევარს ახალწვეულები ქმნიდნენ, ავსტრალიას ლიდსეულები ვიდუჯა და ჯიუელი არ

ჰყავდა (ესენიც თითქმის ნახევარი ნაკრებია), ჰიდეტოში ნაკატამ ჯი ზედ ფინალის წინ მიატოვა სამშობლო და პირველივე რეისით იტალიას გაფრინდა: იქ „რომას“ სედეტოსთვის ცხარე ბრძოლა ჰქონდა და იაპონელმა ჯულებსთვის გარჯა ამჯობინა.

მაგრამ თასის გათამაშებას ტრიბუნებიდან ათი ათასები უყურებდნენ და ტელევიზორში მთელი მსოფლიო, ამიტომ ვისთვის როგორ და მასპინძლებისთვის ჯი თასიც უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ და გათამაშების გარეგნული სახეც, რადგან გაისად მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონატი იმ სტადიონებზე გაიმართება. ამიტომ იაპონელებმა და უორეულებმა თავი მოიკლეს, უუნძულები ჯგუფში სულაც პირველ ადგილზე გავიდნენ იმიტომ, რომ შორეულ აზიაში ბრაზილია ბრაზილიას არ ჰყავდა, ხოლო სამიდან ორი თამაშის მომგები სამხრეთ უორეის ჯგუფში ჩარჩენა უიღბლობის მეტი არაფერი იყო. შემდეგ ნახევარფინალში იაპონიამ ავსტრალიაც იმსხვერპლა და მთავარი ბრძოლა ბოლო წლების სანაკრებო ფეხბურთის მონაკოლისტ საფრანგეთს გაუმართა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ნახევარფინალიდან ის უევანი ბრაზილია გაეგდოთ და საერთოდ, თუნდაც ახალბელებით ყველა დანარჩენზე, ერთი თავით მალეები ჩანდნენ. იოკოჰომა სტადიონზეც 65 335-მა მაყურებელმა ტყეილად დაიხეთქა ფილტვები, საფრანგეთმა შეადგო ერთი, ხუთი მაინც ჯიდუ უნდა შეეგდო და თასი დაინარჩენა.



REUTERS

ოჯახი: რაფ და მიხელ შუმახერები

ქმური ადღუმი

შორმულა 1-მა შუაწელს უწია და ამ დროისთვის გასაკეთებელი მთავარი დასკვნა ის არის, რომ მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ავტობოლა სულ უფრო ემსგავსება შუმახერთა ოჯახურ საქმეს. ეს ერთი და მეორეც: „ფერარი-სა“ და „მაკლარენის“ მონობლიის ნელ-ნელა არყვეს „უილიამსის“ გუნდი, რომლის ერთი წევრი სწორედ შუმახერია, დიდი მიხელ „შუმის“ უმრწემესი ძმა რაფი, მეორე კი „კარტიდან“ გადოყვანილი კოლუმბიელი გიფი (სამართლესთან ახლოა!) ზუან პაბლო მონტოია გახლავთ. „ფორმულის“ პირველ ეტაპებზე მონტოიამ თავი გამარჯვებისკენ უწესო სწრაფვით უფრო გამოიჩინა, მზად იყო დასჯახებოდა და გზიდან გადაეგდო ყველა, ვინც გასწრებას დაუპირებდა. ამით სხვებზე უფრო თვით მონტოიამ იზარალა, ამიტომ პოლიტიკა შეეცალა და რადგან ბოლიდის წაყვანა იმსწავლება, ქულების დაგროვება იყო. ბოლოს, გერმანულ ნიშბურგინგში მონტოია მეორე ადგილზე გავიდა და იქნებ პოლიუმზე მისი თანაგუნდელიც შემდგარიყო, მაგრამ უხეში სარეგლამენტო შეცდომის გამო რაფ შუმახერი 10 წამით დაჯარიმდა და მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა. გამარჯვა დიდმა „შუმამ“, სამაგიეროდ, პატარამ წინა, „მონრეალის გრან პრი“ მოიგო, იმის წინა, მონტე კარლოში კვლავ დიდმა და ასე შემდეგ. შუმახერთა კლანზეც ამიტომ მოგახსენეთ...

სხვადასხვა





WINNER

UEFA CHAMPIONS LEAGUE FINAL 2001

CHAMPIONS LEAGUE

